სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 22 იანვარი 2004 №12 (2031) | ფასი 50 თეთრი



ჟორდანია ფიფას პროგრამაშია

პლატინიმ ციხის საავადმყოფოში გადმორეკა



ვ.ურაბ დოლიძისა და ვ.ბერიძის ფოტოები

გომელთან კარგი იყო, შერიფთან უკეთესი იქნება

გუშინ მოლდოვურმა „შერიფმა“ თანამეგობრობის თასის მეოთხედფინალში კიევის „დინამო“ დაამარცხა. ეს ამბავი ჩვენი თვალთახედვის არეში იმიტომ მოხვდა, რომ „შერიფი“ ხვალ თბილისის „დინამოს“ შეხვდება, მათ შორის გამარჯვებული კი თანამეგობრობის თასის ფინალში გავა. იქ კი თასამდე ერთი ხელის გაწვდენაღა დარჩება.

„შერიფისა“ და კიევის „დინამოს“ მატჩამდე რამდენიმე წუთით ადრე თასის მეოთხედფინალში თბილისის „დინამომ“ „გომელი“ დაამარცხა. ეს ორი მატჩი განსხვავებული იყო, რაკი ჩვენთვის უფრო საინტერესოში ყველაფერი თითქმის დაწყებისთანავე ნათელი შეიქნა — „დინამო“ ერთი თავით, ეგებ მეტითაც სჯობდა „გომელს“.

„დინამოს“ გუშინდელი თამაში კი მართლა კარგი იყო. ვიტალი დარასელიას გოლი კი საუცხოო.

მოგიგებთ!

შერიფის მწვრთნელი შერიფივით ლაპარაკობს

ამისულაშვილი შტუტგარტთან

ტაიმი ფლანგზე, ტაიმი ცენტრში

გუშინ გერმანულ რუიტში შეკრებაზე მყოფმა კიევის „დინამომ“ პირველი საკონტროლო მატჩი გამართა და კიეველთა მაისურაც პირველად მოირგო ქართველმა ახალწვეულმა ალექსანდრე ამისულაშვილმა.

„დინამოს“ მეტოქე ბუნდესლიგის ერთ-ერთი ლიდერი და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტი „შტუტგარტი“ გახლდათ. უკრაინელებმა საკმაოდ სანახაობრივ და დაძაბულ მატჩში 4:3 იმარჯვეს, თუმცა უკვე 22-ე წუთისთვის 0:3-ს აგებდნენ.

ორივე გუნდის მწვრთნელებმა, ფელიქს მაგათმა და ალექსეი მიხაილიჩენკომ საბრძოლო შემადგენლობები გაიყვანეს მინდორზე, რა თქმა უნდა, ითამაშეს ახალწვეულებმაც. ჩვენთვის კი სასიამოვნო ის გახლავთ, რომ ამისულაშვილმა მთლიანად, 90 წუთი შეუცვლელად ითამაშა

ვ.ურაბ დოლიძისა და ვ.ბერიძის ფოტო

მოკლედ, „დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: შოვკოვსკი — ალესანდრო (გოლოვკო 46), საბლიჩი (ნესმაჩნი 46), გავრანჩიჩი, ამისულაშვილი — ოგნიენოვიჩი (დმიტრულინი 46), ბელკევიჩი, ჩერნატი (გიოანე 46), ლეკო (რინკონი 46) — შაკიხი (კლებერი 46), ვერპაკოვსკისი (პეევი 46).

მიხაილიჩენკომ ამისულაშვილს თავიდანვე, დაცვის მარცხენა ფლანგის ჩვეული კონტროლი დაავალა, მერე კი ქართველის გარჯით კმაყოფილმა მწვრთნელმა ჩვენებური შუაში შეწია და საკმაოდ ძნელი საქმე, პერსონალურად კაცზე თამაში დაიკისრა — ამისულაშვილმა აქაც იყოჩაღა. გუშინვე ალეკოს ნამატჩევს რუიტში დავუკავშირდით...

— შეხვედრას საკმაოდ ბევრი მაყურებელი დაესწრო, მრავლად იყვნენ სპეციალისტებიც. ძალიან მაგარი თამაში იყო, „შტუტგარტმა“ თავიდანვე თავბრუდამხვევი ტემპი შემოგვთავაზა, ნამდვილად არ ველოდით და დებიუტშივე გაშვებულმა გოლებმა ძალიან დაგვთრგუნა. ბუნდესლიგა მალე განახლდება და ეტყობათ, კარგ ფორმაში არიან.

— კი მაგრამ, 0:3-ზე თამაშის შემოტრიალება და მით უფრო მოგება გმირობის ტოლფასია...

— გეთანხმები. შოკიდან მალე გამოვედით და მეორე ტაიმში გავიხსენით. ჩვენი თამაში დავიჭირეთ, რამაც „შტუტგარტი“ არია. მეორე ნახევარი, ფაქტობრივად, ცალკარას დაემსგავსა.

— მიხაილიჩენკომ ბევრი ფეხბურთელი შეცვალა, შენ კი სრულად ითამაშე. კმაყოფილი იყო შენი გარჯით?

— შემაქო. თავიდან დაცვის მარცხენა ფლანგზე გამამწესა, მერე კი, შესვენებისას, მითხრა, გატყობ, თამაში ყველგან შეგიძლიაო და ცენტრში შემწია, კაცზე პერსონალურად თამაში მომთხოვა, საითკენაც წავა კევინ კურანი, აედევნეო. უჩვეულო პოზიციაზე ვიყავი და გამიხარდა, თამაში რომ გამომივიდა. მიხაილიჩენკომ ისიც დამატა, ეს შენთვის ახალია და კარგად დაიმახსოვრეო. ალბათ, ამიტომაც არ გამომცვალა.

— მწვრთნელმა ამპლუა კი შეგიცვალა, მაგრამ წინ საერთოდ არ მიდიოდი?

— არა, მხოლოდ კუთხურების დროს მიწევდა საჯარიმოში ჩასვლა, მაღალი ხარ და თავით თამაშიც შეგიძლიაო.

— მერე, გამოგივიდა რამე?

— ვერ ვიტყვი, საგოლე პასი იყოო, მაგრამ ჩემსავით ახალწვეულმა კლებერმა გამთანაბრებელი გოლი მაშინ შეაგდო, როცა კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს თავი წავკარი და მიმართულება ოდნავ ვუცვალე.

— როგორ ფიქრობ, ახალწვეულებიდან გუნდში დარჩენის შანსი ვის უფრო მეტი აქვს?

— არ ვიცი, ძალიან გასაიდუმლოებულია. საკმაოდ ბევრნი ვართ და ყველა კარგად თამაშობს, ვცდილობთ, მწვრთნელებს თავი მოვაწონოთ. 26 იანვარს კიევში ვბრუნდებით და ალბათ მაშინ გვეტყვიან რამეს.

დავით ერაძე

ყავლაშვილი დაშვიდდა: აარაუ

შვეიცარიის პირველი ლიგის „სიონიდან" ნაახალწლევს წასულმა მიხეილ ყაველაშვილმა გუშინწინ „აარაუსთან" ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა და გუშინ უკვე გუნდთან ერთად ერთკვირიან შეკრებაზე დუბაიში გაემგზავრა. „აარაუ", სადაც ორი წლის წინ ლევან ხომერიკიც თამაშობდა, ამჟამად შვეიცარიულ უმაღლეს ლიგაში მეოთხე საფეხურზეა და უეფას თასის საგზურს უმიზნებს

— „აარაუდან" აღრეც დამიკავშირდნენ, მაგრამ მაშინ მათი წინადადება ვიუარე და მოგვიანებით სამთვიანი კონტრაქტი „სიონთან" გავაფორმე — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა, რომელსაც დუბაიში გაფრენის წინ დავუკავშირდით — პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ კი „აარაუს" ისევ გავახსენდი, უწინდელზე უკეთესი პირობები შემომთავაზეს და დავთანხმდი. რაც უნდა იყოს, „აარაუ" დღესდღეობით შვეიცარიაში სერიოზულ გუნდად ითვლება და ადრინდელთან შედარებით მეტი ამბიცია აქვს. გუნდი სამეულისთვის იბრძვის.

— ასეთ მოკლევადიან კონტრაქტებს რატომ აფორმებ-ხოლმე?

— ბევრი გუნდი უნდა გამოვიცვალო. კი ვხუმრობ, მაგრამ „აარაუ" მეშვიდეა.

— აბა, არც ახალ გუნდთან შეგუება გაგიჭირდებოდა...

— არა, რამდენიმე ფეხბურთელს უკვე კარგა ხანია ვიცნობ. თანაც შვეიცარიული ცხოვრების წესიც არაა ჩემთვის უცხო.

— მომავალ სეზონში „სიონში" დაბრუნებას გამორიცხავ?

— არა, რატომ გამოვრიცხავ?! თუმც იქამდე ჯერ ექვსი თვეა, რომელიც „აარაუში" უნდა გავატარო. მერე კი ვნახოთ, რა როგორ იქნება.

შეგახსენებთ, მიხეილ ყაველაშვილი „აარაუმდე" თბილისის „დინამოში", ვლადიკავკაზის „ალანიაში", „მანჩესტერ სიტიში", „ლუცერნში", „ციურიხში" და „სიონში" თამაშობდა.

კოგა ინასარიძე

გვაზავამ და ალანიამ ავტოგრაფები გაცვალეს

ძნელად თუ გაიხსენებს ფეხბურთის ქომაგი ისეთ სეზონს, ვლადიკავკაზურ „ალანიას" ერთი ქართველი მაინც არ ჰყოლოდა.

ჯერაც ოსურ კლუბს ეკუთვნის „სკონტოში" განათხოვრებული ზურაბ მენთეშაშვილი, თუმც გადაწყვეტილი ამბავია — იგი „ალანიაში" აღარ ითამაშებს, კლუბმა და მისმა ახალმა ფრანგმა მწვრთნელმა როლან კურბისმა ჩვენებურის სამსახური არ ისურვეს, თუმც „ალანია" უქართველოდ მაინც არ დარჩენილა.

ორი დღის წინ კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ანდრეი დეიენკომ უცხოურ შეკრებაზე წასასვლელ ფეხბურთელთა სია გამომაზეურა. საუდის არაბეთში წამსვლელ 20 ფეხბურთელს შორის ლევან გვაზავაც მოხვდა.

გვაზავა ნიჭიერი, ჩამოყალიბებული ფეხბურთელია, მასთან თანამშრომლობის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო, თქვა დეიენკომ და გუშინ ვლადიკავკაზელებმა კონტრაქტი გააფორმეს ქართველ ნახევარმცველთან.

ლევან გვაზავა აქამდე მოლდოვაში თამაშობდა და კიშინიოვის „ზიმბრუსთან" ერთად იქაური ჩემპიონატიც მოუგია. დეკემბრის ბოლოს გვაზავას „ზიმბრუსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და მიუხედავად კიშინიოველთა სურვილისა, კლუბთან ხელშეკრულება აღარ გაუგრძელებია.

გვაზავა ახალ გუნდთან ერთად ხვალ საუდის არაბეთში გაემგზავრება. ოსები აზიაში ერთობ ხანგრძლივი მოსამზადებელი პროგრამით მიდიან. ერ რიადში „ალანია" 20 თებერვლამდე დარჩება.

პაატა ძვანტალიანი

მოსკოვს, თანამეგობრობის ჩემპიონთა ტურნირის დაწყებასთან ერთად, ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, მისი ევროპელი კოლეგა ლენარტ იუჰანსონი და ფიფას აღმასკომის წევრი მიშელ პლატინი ესტუმრნენ. ისინი ესენგესა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა ხელმძღვანელებს შეხვდნენ. დღის წესრიგში რამდენიმე საკითხი იყო, თუმც ჩვენი და ალბათ დანარჩენი 14 ფედერაციისთვისაც ყველა ზე მნიშვნელოვანი ფინანსური ამბები იყო — ფიფას პროგრამა „გოლისა" და მისი უეფასული ვარიანტი — „ჰეთ-თრიქის" განხილვა დამუშავება

ჟორდანია ფიფას პროგრამაშია

პლატინიმ ციხის საავადმყოფოში გადმორეკა

გადმო ბეთლაბის ფოტო

ქართულ მხარეს მოსკოვში ფედერაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ჩივაძე და გენმდივანი ვალერი ჩოლარია წარადგენდნენ, ცხადია, იქვე უნდა ყოფილიყო ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, თუმც ის, მოგეხსენებათ, დღემდე პატიმრობაშია.

ჩივაძისა და ჩოლარიას გუშინდელი პრესკონფერენციის მეტი წილი სწორედ მოსკოვურმა ამბებმა წაიღო, ცოტაც ზოგადქართულ ფეხბურთზე საუბარრმა...

ჩივაძე: მოსკოვში იუჰანსონსა და ბლატერს ცალცალკე შევხვდით. თავიდანვე გეტყვით, რომ კმაყოფილები ვართ. ფინანსური დახმარების მისაღებად უეფაში წარდგენილი ჩვენი პროექტი უკვე განხილულია და როგორც უეფას ხაზინადარმა სპენგერსმა გვითხრა, ის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს და უახლოეს დღეებში დამტკიცდება. სხვათა შორის, სპენგერსი ჰოლანდიელია და პირად საუბარში რამდენჯერმე ახსენა, საქართველოს პირველი ლედი ჩემი თანამემამულეაო.

მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა თავად იუჰანსონმა, რომელიც მოსკოვში ნაოპერაციევი ჩამოვიდა და ცოტა არ იყოს, იერშეცვლილი გვეჩვენა. პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ უეფას 2006 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებს. მემკვიდრის ვინაობაზე კი არაფერი უთქვამს.

მეორე დღეს უკვე ზეპ ბლატერსა და მიშელ პლატინის შევხვდით. ფიფას ფინანსური დახმარების, პროგრამა „გოლის" საკითხები განვიხილეთ და როგორც ვთქვი, კმაყოფილები დავრჩით. ფიფა ჩვენს დახმარებაზე უახლოეს აღმასკომზე იმსჯელებს და ვიმედოვნებთ, გადაწყვეტილება ქართული ფეხბურთისთვის სასიკეთო იქნება.

ამ შეხვედრის მონაწილეებმა შეშფოთება გამოთქვეს ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას დაპატიმრების გამო. ყველა ჩვენი კოლეგა მზადაა, ქართველი სამართალდამცავების მისამართით გამოგზავნოს შუამდგომლობის წერილი, რომ ჟორდანია გამოძიების დასრულებამდე გათავისუფლდეს. მიშელ პლატინი კი მოსკოვიდან მერაბ ჟორდანიას 10 წუთი პირადად ესაუბრა.

ჩოლარია: ფიფას პრეზიდენტთან ფინანსური დახმარების გარდა ზოგად საფეხბურთო პრობლემებზეც ვიმსჯელეთ. ლაპარაკი იყო დოპინგზე და კონტროლის შესაბამის მექანიზმებზე; ითქვა სუპერლიგა G14-ის ერთგვარ ულტიმატუმზეც — ამ ლიგის კლუბები ნაკრებებში ფეხბურთელების უკომპენსაციოდ გაშვებას არ აპირებენ. ბლატერმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ეს არ მოხდება. გარდა ამისა, მიშელ პლატინიმ კლუბების ზედმეტად გაზრდილ ხარჯებსა და ვალებზე ისაუბრა.

ჩივაძე: საქართველოს ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მთლიანად მერაბ ჟორდანიას მიჰყავს. ანრი მიშელის გარდა, არის კიდევ ორი მწვრთნელის კანდიდატურა. ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ მერაბ ჟორდანია ამ თვის ბოლომდე გათავისუფლდება და მიშელ პლატინის შეხვდება. მწვრთნელის ვინაობაც ამ შეხვედრის შემდეგ გაირკვევა.

ჩოლარია: ადრეც ვთქვი, თუ მერაბ ჟორდანია არ გათავისუფლდება, უცხოელი მწვრთნელის დანიშნა გამორიცხულია. პროკურატურას კანონი აძლევს ათდღიან ვადას, რათა პატიმრის გათავისუფლების საქმე შეისწავლოს. ჩვენც ველით პროკურატურის სიტყვას. ეს ვადა ჯერ არ ამოწურულა.

ჩივაძე: კვიპროსის საერთაშორისო ტურნირისთვის ნაკრებს მწვრთნელი ეყოლება. არა მგონია, რომ ფედერაციის პრეზიდენტის პატიმრობაში ყოფნამ ფეხბურთელებზე იმოქმედოს, პირიქით, მათ ასეთ შემთხვევაში მეტად უნდა მოინდომონ.

ჩოლარია: ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე თვის ბოლოს კიევში უნდა მოვილაპარაკოთ. შესაძლოა, იქ უმწვრთნელოდ და უპრეზიდენტოდ გავემგზავროთ, მაგრამ ეს დიდად მნიშვნელოვანი არაა. ფეხბურთს გუნდი თამაშობს და არა კალენდარი. კალენდრის შედგენისას ჩვენი პრინციპი ერთი იქნება — საქართველომ მაქსიმალურად უკეთესი ვარიანტი უნდა მიიღოს. ისე კი, რომ იცოდეთ, კიევში მერაბ ჟორდანიას ელიან.

ჩივაძე: კვიპროსის ტურნირზე ერთ მატჩს უძლიერესი შემადგენლობით ვითამაშებთ, ყველა ლეგიონერს გამოვიძახებთ. რუმინელებთან შეხვედრა 18 თებერვალსაა დაგეგმილი, ეს დღე კი უეფასგან ამხანაგური მატჩებისთვისაა გამოყოფილი და კლუბს უფლება არ აქვს, ფეხბურთელი დააკავოს. კვიპროსზე სხვა მატჩებს კი კლუბების ნაკრებით ვითამაშებთ, ამის პრობლემა ნამდვილად არ იქნება, მით უმეტეს, იმ პერიოდში თბილისის „დინამოც" იქ იქნება.

ჩოლარია: სხვა ამხანაგურ მატჩებზეც ვმუშაობთ. ვითამაშებთ მარტში და აპრილში, თუმც მეტოქეთა ვინაობა ჯერ უცნობია. დაგეგმილია შეხვედრა მოლდოვაში, ესტონელებთან ამხანაგური მატჩი კი საგაისოდ გადაიდო. მათი შემოთავაზებული თარიღი ჩვენ არ გვაწყობს, ჩვენი სიტყვა კი მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

კოგა ინასარიძე

იტალია

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩები

ინტერი 3:1 *უდინეზე* (0:0)
იუვენტუსი 1:0 *პერუჯა* (2:1)

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

ვულვერჰემპტონი 1:1 ლივერპული

ლიგის თასი
1/2 ფინალი. პირველი მატჩი

ბოლტონი 5:2 ასტონ ვილა

პორტუგალია

თასის 1/8 ფინალი

პორტუ 4:0 ვილაფრანკენშე

საბერძნეთი

თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩები

ოფი 1:1 *პანათინაიკოსი* (0:1)
ძსანთი 0:2 *ოლიმპიაკოსი* (0:1)
არისი 0:2 *ირაკლისი* (0:0)

საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

მონაკო 1:1 ნიცა
მონპელიე 1:3 სოშო

ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

როდა 1:2 აიაქსი

შოტლანდია

ასოციაციის თასი
1/16 ფინალი. გადათამაშება

დანდი 2:3 *აბერდინი*

ესპანეთი

თასის 1/4 ფინალი
პირველი მატჩები

სევილია 4:0 ატლეტიკო
რეალი 3:0 ვალენსია

ბელგია

თასის 1/4 ფინალი. I მატჩები

მუსკრონი 3:2 სერკლ ბრიუგე
ბეერსხოტი 1:2 ბევერენი
ჰეუსდენი 2:3 ანდერლეხტი
ლუვიე 2:1 ბრიუგე

ესტონეთმა კოლოსკოვი არ ატაავარიშსტალინა

პატარა ქვეყანა არ ნიშნავს პატარა ღირსებას

ერთი ამბავი იყო მოსკოვში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მე-3 შესარჩევი ჯგუფის კალენდრის შედგენისას.

რუსებმა და ესტონელებმა ერთმანეთი დაწყვიტეს, მოგვიანებით საქმეში უსუსური ლუქსემბურგიც კი ჩაერია. ჩვენს მეზობლებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ და ბევრ დათმობაზე მოუწიათ წასვლამ, „მეამბოხენი" რომ ჩაეწყნარებინათ და კალენდარი იქვე შეთანხმებულიყო

გეხსომებათ, კალენდრის შესადგენად ფიფა თანაჯგუფელებს ვადას დაუთქვამს-ხოლმე და თუ მეტოქენი ვერ მორიგდნენ (ამ შემთხვევაში 31 იანვრამდე), ფიფა თავისი პრინციპით მოქმედებს: კალენდარს თავადვე, ჯგუფთან შეუთანხმებლად ადგენს.

მოსკოვური ამბავი კი ასე იყო: შეხვედრაზე, რომელიც სამ საათზე იყო დანიშნული და ჯგუფის წევრი ქვეყნების ფეხბურთის მამათავრები იყვნენ მიწვეულნი, მასპინძელმა, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა 45 წუთით დააგვიანა. დაგვიანების მიზეზი მოგვიანებით ასე ახსნა, უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს ვაცილებდიო. ეს არაფერი, კაცს საპატიო კაცის გაცილების გამო დაგვიანება საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაეთვალოს, მაგრამ რაც მერე მოხდა...

„კოლოსკოვმა შეხვედრაზე ხომ დაიგვიანა და მერე ისე გამოგვეცხადა, პოლიტბიუროს სხდომა გვეგონა, კოლოსკოვმა კი თავი ალბათ სტალინად წარმოიდგინა 40-იან წლებში" — აი, ასეთ კომენტარს აკეთებს ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი რუსეთის ფეხბურთის ხელახლა არჩეული პრეზიდენტის ქედმაღლურ ქცევაზე.

ჩვენს ლატვიელ კოლეგა ასკოლდს ულდრიკისს გუშინ რიგაში საგანგებოდ დავუკავშირდით და მისგან ეს შევიტყვეთ:

— კოლოსკოვს მის მიერ წინასწარ შედგენილი კალენდრის ერთი ხელის დაკვრით გატანა სურდა. ეს ვარიანტი ლატვიისთვის, პორტუგალიისთვის და სლოვაკეთისთვის ურიგო არ იყო. მოკლედ, ოთხი გუნდი შეთანხმდა, მაგრამ მათ ესტონეთის დაყოლიება ვერ შეძლეს. მერე ესტონელებს ლუქსემბურგიც შეუერთდა. როგორც ვიცი, მეტოქეთაგან კოლოსკოვმა ერთი-ორი „ტკბილი" სიტყვაც გაიგონა...

დავა 2005 წლის მარტში გასამართ მატჩებზე იყო. ესტონეთს მარტში შინ თამაში, თანაც ზედიზედ ორჯერ, არ სურდა. რუსეთი ბალტიისპირელების თხოვნას ყურს არ უგდებდა. ჰოდა, მაშინ იყო, ესტონელთა დელეგაციამ შეხვედრა რომ დატოვა და დაიბარა, კალენდარი ფიფამ შეადგინოსო. აი, მაშინ კი აეწვათ რუსებს და საღამოს, პროტოკოლით გათვალისწინებულ ვახშამზე სცადეს ესტონელებთან ადამიანურად მოლაპარაკება. ამ საქმეში დანარჩენი ხუთი ქვეყანა აღარ ჩარეულა. საბოლოოდ, კალენდარს იმ დღესვე მოეწერა ხელი. ესტონეთი მარტში მაინც ორ თამაშს, ორივეს შინ ჩაატარებს, თუმც ბალტიისპირელებმა რუსებსაც დაათმობინეს და კალენდარული მატჩების ჩატარებისთვის რამდენიმე სასურველი თარიღი და მეტოქე მიიღეს... მოკლედ, ესტონეთმა თავისიც გაიტანა და რუსს აქეთ დაათმობინა.

30 იანვარს კი კიევში ჩვენი ჯგუფის გუნდები იკრიბებიან კალენდრის შესათანხმებლად. რა, როგორ და ვისთვის იქნება მისაღები კიევური კალენდარი, წინასწარ, აბა, რა ვთქვათ, ერთი კი ცხადია, ესტონელთა როლი კიევში შესაძლოა ჩვენებმა ითამაშონ. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს ფედერაციის გენმდივანი ვალერი ჩოლარია:

— თუ კიევში ჩვენს შენიშვნებს არ გაითვალისწინებენ, მოლაპარაკებას ჩავშლით და მერე ეს ამბავი ფიფამ მოაგვაროს. ჩვენ ურთიერთობის შეკვრას არ ვაპირებთ, აქეთ დაგვითმონ და შევეკვრები...

კალენდარზე მოლაპარაკება რომ ჩაიშალოს, ამის საშიშროებას უკრაინა უკვე ხედავს და საამისოდ თადარიგი მასპინძლებმა წინასწარვე დაიჭირეს. მეტოქეთათვის დაგზავნილ „კიევური სამიტის" განრიგში ისეთი პუნქტებიც შეიტანეს, რაც მოლაპარაკების ჩაშლის შესაძლებლობას ალბათ ერთიორად შეამცირებს.

არც ისაა გამორიცხული, რომ უკრაინელებს კალენდრის შედგენისას მთავარ მოკავშირედ ქართველები ეგულებოდათ. ასეთი ვარაუდის გამოთქმა ამ ერთი დეტალის გამოც შეგვიძლია: კალენდრის სამუშაო ვარიანტში, რომელიც უკრაინელებმა აქ გამოაგზავნეს, ჯგუფის ბოლო თამაშად საქართველო — უკრაინაა გათვალისწინებული. არ ვამბობთ, რომ უკრაინა რუსეთია და შეეცდება, საქართველოს თავისი მოთხოვნების უმეტესობა თავს მოახვიოს, თუმც არც უამისობა იქნება. მით უფრო, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას მიერ ამას წინათ ბიუჯეტში შეტანილი 741 984 ლარის ხსენებისას კიევის „დინამოს" და უკრაინული ფედერაციის პრეზიდენტის გვარმაც რამდენჯერმე გაიჟღერა.

ჩვენ კი მაინც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრინციპულობის იმედად ვიყოთ.

კობა ინასარიძე

მამია ჯიქია კაი ბიჭობის ამბავში

ეს დღეებია, პოლონური „ამიკა" შვებულებიდან დაბრუნდა. პოლონური პირველი ლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა მშობლიურ ვრონკში განაგრძო მზადება. გუნდთან ერთადაა ქართველი ნახევარმცველი მამია ჯიქიაც, თუმც მისი „ამიკაში" დარჩენა ჯერაც არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი. კლუბი ჩვენებურს კონტრაქტის გაგრძელებას კი სთავაზობს, მაგრამ ჯერჯერობით თანხმობა ვერ მიიღო. ჯიქიას თვალი გერმანიისკენ უჭირავს...

— ორ-სამ კვირაში ყველაფერზე საბოლოო პასუხს ვიტყვი. „ამიკადან" წასვლა კი მინდა, მაგრამ ახალი ვარიანტი ჭკუაში თუ არ დამიჯდა, დავრჩები.

— მანამდე „ამიკაში" ივარჯიშებ?

— რა თქმა უნდა, შეკრებას აქ გავივლი. მოსაფიქრებლად დროც მეყოფა. ჩემს სიტყვას მენეჯერიც ელის. თუ საბოლოოდ გადავწყვიტე წასვლა, მაშინ ის ტრანსფერზე იმუშავებს.

— ადრე ამბობდი, გერმანული ვარიანტები მაქვსო...

— „ფრაიბურგი" და „ბოხუმი" მართლა მქონდა, მაგრამ ახლა ნაღდად არ ვიცი, რას ფიქრობენ ეს კლუბები. შესაძლოა, რომელიმე ვარიანტი ისევ წამოტივტივდეს.

— „ამიკა" რამდენწლიან კონტრაქტს გთავაზობს?

— ორწლიანზეა საუბარი. ვნახოთ, თუ გუნდმა 3-4 ძლიერი ფეხბურთელი შეინარჩუნა, მაშინ დიდი შანსია, მეც დავრჩე. სხვაგვარად აქ თამაშში დიდ აზრს ვერ ვხედავ.

— ესე იგი, შენი ტრანსფერი იმ სამი-ოთხი ფეხბურთელის ტრანსფერზეც ყოფილა დამოკიდებული.

— ასეა. ზუსტად მაგას ველი. თუ იმ ბიჭებმა დარჩენა გადაწყვიტეს, კონტრაქტს გავაგრძელებ. არადა, უკლუბოდ არ დავრჩები. მენეჯერი გერმანულ ვარიანტებზე მუშაობს. სხვა ქვეყნებიდანაც არის რაღაც წინადადებები.

— იქნებ გაგვიმხილო...

— ზუსტად არ ვიცი. მგონი, ჰოლანდიაზეა ლაპარაკი.

— პოლონური გუნდებიც აპირებდნენ შენს შეძენას...

— ჰო, მაგრამ თუ „ამიკადან" წავედი, პოლონეთიდანაც წავალ. ერთ საფეხურზე დარჩენა არ მინდა. თუ გადასვლაა, „ამიკაზე" გაცილებით კარგ გუნდში გადავალ.

— საბოლოოდ როდის გაირკვევა ყველაფერი?

— „ამიკა" თებერვალში ესპანურ შეკრებაზე წავა. თუ იქ ჩემს გვარს ვერ ნახავთ, ჩათვალეთ, რომ გუნდი დავტოვე.

ქახა შალამბერიძე

კიკნაძე ზღვას გაჰყურებს რამდენს გავუძლოთ ბედის კვანტს?

დეკემბრის ბოლოს „ბენდელას თასზე" ბევრისთვის მოულოდნელად ეროვნული ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა გიორგი კიკნაძემაც ითამაშა. კიკნაძის თაობაში მასზე უილბლო ფეხბურთელს ვერც გაიხსენებს კაცი. უდავოდ ნიჭიერ ნახევარმცველს ჯერ მხედველობა აწუხებდა, მერე კი ხერხემლის უმძიმესი ტრავმა მიიღო და, ფაქტობრივად, ფეხბურთს ჩამოშორდა. არადა, მაშინ კიკნაძე 25 წლის იყო, პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა და გერმანულ „ფრაიბურგში" ირიცხებოდა.

ოპერაცია ოპერაციას მოსდევდა და იმის ალბათობაც იყო, კიკნაძე ხეიბრად დარჩენილიყო, მაგრამ „ეორიკამ" ყველაფერს გაუძლო და ლამის სამწლიანი უქმობის შემდეგ „ბენდელას თასით" დაუბრუნდა ბურთს და მოედანს, თუმც მაშინ კიკნაძეში ბევრმა ფეხბურთს მონატრებული კაცი დაინახა — თავის ჭიას ახარებსო, ამიტომაც კიკნაძის ნათქვამი, კვლავაც თამაში მსურს და საზღვარგარეთ მინდა კარიერის გაგრძელებაო, ბევრმა მეოცნებე კაცის სიტყვებად ჩათვალა, მაგრამ, როგორც ჩანს, კიკნაძე სულაც არ ხუმრობს.

27 წლის ქართველი ნახევარმცველი დღეს ოდესის „ჩერნომორეცთან" ერთად იმყოფება. კიკნაძე შავიზღვისპირელებთან უკვე ერთი კვირაა, ვარჯიშობს და ორ საკონტროლო მატჩში თითო გოლით და საგოლე პასით გამოიჩინა თავი. ოდესელები ჩვენებურს საზღვარგარეთულ შეკრებაზეც დააკვირდებიან. ოდესაში ჩასვლამდე კიკნაძით ვლადიკავკაზური „ალანია" იყო დაინტერესებული, თუმცა ოსებმა მძიმე ტრავმაგადატანილ ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმება არ გარისკეს, ოდესელებს კი ქართველი ჯერჯერობით სასაყვედუროს არ უტოვებს.

გააფორმებს თუ არა გიორგი კონტრაქტს „ჩერნომორეცთან", თებერვლამდე გადაწყდება, თუმც ნებისმიერ ვარიანტში კიკნაძის ჟინი და შეუპოვრობა დასაფასებელია.

პაატა კვანტალიანი

ივო შუშაკი: თეთრი რუსეთი მთლად გავახუნეთ

მცირე ისტორიული ექსკურსი: 2000 წლის უეფას თასის გათამაშებაში თბილისის „დინამო" პირწმინდად დამარცხდა ბელარუსის ვიცეჩემპიონ ბატე-სთან. იმ დროს ქართული ფეხბურთის ჩამორჩენა ბელარუსულის ფონზეც კი აშკარა იყო. განვლო 4 წელმა და ამჯერად პოსტსაბჭოური სივრცის ორი ჩემპიონის ჭიდილში უსუსურები ბელარუსები გამოჩნდნენ. რაშია საქმე? ნუთუ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონე ამაღლდა ასე? სამწუხაროდ, არა, უბრალოდ, ამჟამინდელი „დინამო" 4 წლის წინანდელზე მეტად დალაგდა, მოძლიერდა ფინანსურად, ჩამოიყვანა ხორვატი მწვრთნელი და პოსტსაბჭოეთის ბევრ ქვეყანაზე მაღლაც დადგა, მაგრამ რუსეთსა და უკრაინასთან გასატოლებლად მხოლოდ ეს არ ყმარა

ივო შუშაკი ფოლადაშვილის ფოტო

ახლა კი წლევანდელი ესენგეს თასის ნახევარფინალამდე მისულ „დინამოზე" ვთქვათ. ქართული კლუბი უკანასკნელად ამ ტურნირის ნახევარფინალში შორეულ 1993 წელს გავიდა, შემდეგ კი...

შეხვედრის მეორე წუთზევე დინამოელებმა ძალების დაუძაბავად გახსნეს ანგარიში და საკუთარი თამაშიც იპოვეს. ანჩაბაძის 30-მეტრიან პასს ალექსიძე გამოეხმაურა, ბურთი დაიმორჩილა და საჯარიმოში შეუსვლელად ძლიერად დაარტყა. „გომელის" გამოცდილი მეკარე გაევი დასრიალდა და ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა. დინამოელთა მორიგი შეტევაც გოლით დასრულდა. ბურდულმა მშვენიერი რეიდი განახორციელა და კარშიც დაარტყა, გაევმა ამჯერად ბურთის მოგერიება კი შეძლო, მაგრამ დასწრებაზე მელქაძემ იმარჯვა და უპირატესობა ორამდე გაზარდა.

ამის შემდეგაც თამაშის სადავეები თბილისელთა ხელში იყო. ყველა სახიფათო, გააზრებული და ლამაზი კომბინაციის აღწერას ამ წერილისთვის განკუთვნილი ადგილი რას ეყოფა. ამიტომ თვალსაჩინოებისთვის სტატისტიკა მოვიშველიოთ: „დინამომ" 9 კუთხური ჩააწოდა, მეტოქემ — 2. კარში 11-ჯერ დაარტყა, საპასუხოდ 3 მიიღო. კარისკენ კი 17-7-ზეა.

დინამოელები არც 30-ე წუთზე მათ კარში საეჭვო პენალტის დანიშნას დაუბნეია და უსევის გოლს ხუთ წუთში უპასუხა. ორბურთიანი სხვაობა შეტევაში ჩართულმა და დასწრებაზე მარჯვედ გარჯილმა შაშიაშვილმა აღადგინა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბელარუსებმა გაბრძოლება სცადეს, ერთხელ გვარამაძე შეაწუხეს და ერთხელაც კარის ძელი. ამის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ თავს ზემოთ ძალა აღარ იყო და თამაშის მშვიდ დინებას აჰყვნენ. 72-ე წუთზე კი ალბათ თავადაც მოეწონათ მათ კარში გასული სუპერგოლი. ვიტალი დარასელიამ ორთაბრძოლაში გოროვცოვს არ დაუთმო და უძლიერესი დარტყმით ბურთი მეკარეს თავზე გადაუგდო — 4:1. ეს უკვე განადგურებას ნიშნავდა. თბილისელებს ამის შემდეგაც ბარე სამჯერ მართებდათ ანგარიშის გაზრდა. ჯერ დარასელიამ ვერ გამოიყენა ბურდულის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი, შემდეგ ბურდული, ჩიტაია და ანჩაბაძე გაეჯიბრნენ ერთმანეთს, ვინ უფრო ეფექტურ გოლს გაიტანდა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა.

დინამოელები ნახევარფინალში შესაშური შედეგიანობით გავიდნენ, 4 მატჩში 18 გოლი, ერთ თამაშში ოთხ გოლზე მეტი.

ბუნებრივია, საკუთარი გუნდის წარმატებით გამოწვეულ სიხარულს ვერც **ივო შუშაკი** მალავს: „ჩემმა გუნდმა ღირსეულად გაიმარჯვა, ვერავინ შემედავება, რომ მეტოქეს ერთი თავით ვაჯობეთ. არ შეიძლება, ბელარუსის ჩემპიონი დაბალი დონის გუნდი იყოს, უბრალოდ, მათი ასე უფერულად წარმოჩენა ჩემი ფეხბურთელების დამსახურებაა. მახარებს ისიც, რომ გამარჯვებას სანახაობრივი და ლამაზი თამაშით მივაღწიეთ. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ნახევარდაცვის ხერხემალი, გოგობერიშვილი გვაკლდა, მაგრამ ამ სირთულესაც წარმატებით გავართვით თავი. მომავალ მატჩში უფრო მძლავრად უნდა ვითამაშოთ, გოგობერიშვილიც დაგვემატება და დასვენებაც სულზე მოგვისწრებს".

დინამოელთა კაპიტანი **გიორგი შაშიაშვილი** ის ფეხბურთელია, ვინც ბოლო ხანს შესუსტებული დაცვის ხაზი უნდა შეადუღაბოს...

— ვფიქრობ, ამ ტურნირზე დაღლისა და გადატვირთული სათამაშო გრაფიკის გარდა სერიოზული მეტოქე ჯერ არ გვყოლია. ბელარუსის ჩემპიონისგან გაცილებით მეტ წინააღმდეგობას ველოდით, მაგრამ ჩვენმა ორმა სწრაფმა გოლმა ისინი საბოლოოდ გატეხა. თანაც მათ ისეთი ლიდერი არ ჰყავდათ, თამაშის თავის თავზე აღებას რომ შეძლებდა. ალბათ შემსრულებლებითაც ვაჯობეთ.

— „გომელთან" მატჩი ის იშვიათი გამონაკლისია ამ ტურნირზე, როდესაც დაცვის ხაზთან საპრეტენზიო ბევრი არაფერია...

— როგორც ჩანს, ნელ-ნელა შევთამაშდით. ამისულაშვილისა და ხიზანეიშვილის წასვლას მოულოდნელად წერეთელის ტრავმაც დაემთხვა და, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავით.

— მომავალ მეტოქეზე რას იტყვი?

— „შერიფი" ტურნირს ჩემპიონის რანგში ეწვია და, ბუნებრივია, არც ახლა იტყვის უარს მიღწეულის გამეორებაზე. ალბათ ამ ტურნირზე ერთერთი ურთულესი მატჩი გველის. მიუხედავად ამისა, მადაზე მოვედით და მხოლოდ ფინალზე ვფიქრობთ.

ლადო ბურდულმა საკმაოდ ბევრი იმუშავა და პენალტიც მოინაღირა...

— თავად რატომ არ დაარტყი პენალტი?

— დარასელია ბომბარდირთა დავაში „სკონტოს" ფორვარდ მიხოლაპს დაეწია და გოლის გატანის შემთხვევაში გაუსწრებდა კიდეეგ არაფერი, სხვა თამაშებში გავატანინებ გოლს.

— სხვა თამაშები ახსენე, „შერიფს" უკვე დამარცხებულად თვლი?

— დამარცხებულად არ ვთვლი და სერიოზული თამაშისთვისაც ვემზადებით. უბრალოდ, იმდენად კარგად წაგვივიდა საქმეები ამ ტურნირზე და ისე შევთამაშდით, რომ შეჩერებას აღარ ვაპირებთ.

— ამაში ერთდღიანი დასვენებაც დაგეხმარებათ...

— დასვენება ჰაერივით გვჭირდებოდა. ბოლოს უკვე მექანიკურად ვასრულებდით მწვრთნელის დავალებას. ხელოვნური საფარი ხომ ორჯერ ზრდის დატვირთვას და ასეთ ვითარებაში 5 დღეში ოთხი მატჩის ჩატარება მართლაც მეტისმეტია.

— რუსი ჟურნალისტების და სპორტების ყურადღებას თუ გრძნობ?

— „დინამომ" აქ ჟურნალისტების და სპეციალისტების დიდი ყურადღება მართლაც დაიმსახურა. კონკრეტული წინადადებები კი ასე უცებ არ კეთდება.

დავით ერაძე

მოგიგებთ!

შერიფის მწვრთნელი შერიფივით ლაჯარაპუს



გუშინ, თბილისის დროით 20 საათზე ესენგეს თასზე დინამოელთა სანახევარფინალო მეტოქის ვინაობა გაირკვა: „შერიფმა" კიევის „დინამოს" 1:0 მოუგო. აღსანიშნავია, რომ მთელი ტურნირის მანძილზე „შერიფის" ფეხბურთელებმა ორი გოლი გაიტანეს, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა ნახევარფინალში გასასვლელად

მოლდოვური კლუბი ამ ტურნირის შარშანდელი ტრიუმფატორია, მაშინ „შერიფის" წარმატება სენსაციად შეირაცხა, არადა, ტირასპოლში დიდი თანხების მოზიდვამ და გუნდისთვის თანამედროვე საწვრთნელ-სავარჯიშო პირობების შექმნამ თავისი შედეგები გამოიღო.

მოლდოვური კლუბი წლეულსაც ჩემპიონობის პრეტენდენტად ითვლება (ფავორიტთა შესუსტებული შემადგენლობით გამოსვლასაც თუ გავითვალისწინებთ). ამიტომაც ხვალინდელი ნახევარფინალური დაპირისპირება ნაადრევ ფინალადაც შეგვიძლია მოვნათლოთ. რას ფიქრობს მომავალ მეტოქეზე „შერიფის" მთავარი მწვრთნელი ლეონიდ კუჩუკი, ინტერესმოკლებული ნამდვილად არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ იგი ადრინდელი რესპონდენტებისგან განსხვავებით საკმაოდ თავდაჯერებული კაცი გამოდგა. თავად განსაჯეთ...

— გილოცავთ ნახევარფინალში გასვლას...

— რატომ? არ ელოდით? ამაში მოსალოცს ვერაფერს ვხედავ, პირიქით, მე თქვენ მინდა მოგილოცოთ თბილისური კლუბის გამარჯვება.

— „შერიფი" წლევანდელ ტურნირზე არცთუ დამაჯერებლად თამაშობს და შედეგიანობითაც არ გამოირჩევა...

— არაუშავს, ჩვენს წინა მეტოქეს, კიევის „დინამოს" საკმაოდ ბევრი გოლი ჰქონდა გატანილი, მაგრამ აქედან რაც გამოვიდა, თავადაც იხილეთ. ჩვენ ახლა შევდივართ ოპტიმალურ ფორმაში.

— და როგორია თქვენი ოპტიმალური ფორმა?

— თბილისურ გუნდზე ნაკლები ნამდვილად არ იქნება.

— ქართულმა კლუბმა რით დაგაინტერესათ?

— გუნდური თამაშის სიმკაცრით, განსაკუთრებით პრესინგის ელემენტების გამოყენებით, რაც საერთოდ დამახასიათებელია ხორვატი მწვრთნელებისთვის. დანარჩენზე რა ვთქვა, ისევ ტრადიციული ქართული ფეხბურთი ვიხილე. მე თქვენების თამაშს ყურადღებით ვაკვირდებოდი მთელი ტურნირის განმავლობაში.

— ვინმეს თუ გამოყოფთ?

— არავის, ან თანამედროვე ფეხბურთში ეს რა საჭიროა? პერსონალური მეურვეობის დრო წარსულს ჩაბარდა. ახლა გუნდი თამაშობს და ჩვენც გუნდის წინააღმდეგ ვემზადებით.

— ზოგიერთმა გუნდმა ტურნირი არად ჩააგდო და შესუსტებული შემადგენლობებით ასპარეზობს, თქვენ კი, ჩანს, სერიოზული გეგმები გაქვთ...

— ეს იმ კლუბების პრობლემაა, ტურნირს არასერიოზულად რომ მოეკიდნენ. ჩვენ აქ მოსაგებად ჩამოვედით და ამისათვის არაფერს დავიშურებთ.

— „შერიფი" განსაკუთრებულად მოემზადება „დინამოსთვის"?

— ამას თამაში აჩვენებს, მე არ ვარ ვალდებული, ჩვენი კოზირები ჟურნალისტებთან გავსხნა.

— მოკლედ, მოგებას აპირებთ, და დინამოელებს აღარ ეკითხებით...

— ეგრეა, მოგიგებთ.

დავით ერაძე

სნგ-ს თასი. 1/4 ფინალი

კაუნასი *(ლიტვა)* 2:2(პენ.3:2) **ფლორა** (ესტონეთი)

0:1 მ. როობა (26), 1:1 სანაევასი (42), 2:1 რიახნი (44ს.კ.), 2:2 სიდორენკოვი (86)

დინამო *(საქართველო)* 4:1 **გომელი** (ბელარუსი)

1:0 ალექსიძე (2), 2:0 მელქაძე (10), 2:1 უსოვი (30პ), 3:1 შაშიაშვილი (35), 4:1 დარასელია (72)

დარასელიამ ვერ გაიტანა პენალტი (88, ააცილა)

დინამო: გვარამაძე, ახალაია (ხმალაძე 69), შაშიაშვილი, კანდელაკი, კვირკველია, კარლოსი (გ. ჩიტაია 62), დარასელია, ბურდული, ანჩაბაძე, ალექსიძე, მელქაძე (სახვაძე 58)

მწვრთნელი: ივო შუშაკი

გომელი: გაევი (აფანასენკო 46), ჩირვა, გოროვცოვი, არხიპცევი (ზაბოლოცკი 53), შაგოიკო, დანილოვი, კარსაკოვი (ხუსიანოვი 46), სუჩკოვი, სულიმენკო (პუკოსტი 69), ბლიზნიუკი (ბოგდანოვი 77), უსოვი

მწვრთნელი: სერგეი პოდპალი

გაფრთხილება: ბურდული (51), კვირკველია (60), გოროვცოვი (63), უსოვი (74)

მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

1 500 მაყურებელი

დინამო (უკრაინა) 0:1 **შერიფი** *(მოლდოვა)*

0:1 ბარიშევი (70)

შერიფი: ხუცანი, გუმენიუკი, ლაკუსტა, ტესტიმიცანუ (სანტოსი 88), **თარხნიშვილი**, პრიგანიუკი, ს. ივანოვი, ბორეცი (ადენისი 90), ა. ბლანკო (ლეანდრო ფარიასი 49), ბარიშევი, ს. კუზნეცოვი (რ. ბრაუნი 67)

მწვრთნელი: ლეონიდ კუჩუკი

ცსკა (რუსეთი) 0:1 **სკონტო** *(ლატვია)*

0:1 ბუიტკუსი (32)

ნახევარფინალი. ხვალ

დინამო — შერიფი 17.00

კაუნასი — სკონტო 20.00

იაშვილს არც ქება ასცდა, არც სასჯელი

ესენგეს თასი ორი დინამოელისთვის ნაადრევად დასრულდა. მამუკა წერეთელმა „ირტიშთან" მატჩში და მთლიანად ტურნირზე 13 წუთი დაჰყო, ტრავმა უფრო გაიმიზეზა და „დინამომ" რისკზე წასვლას მისი დასვენება არჩია. ექიმები იმედოვნებენ, რომ 1 მარტამდე, ანუ კვიპროსული შეკრების დაწყებამდე წერეთელი გამოჯანმრთელდება.

დასჯილმა სანდრო იაშვილმა კი ვერაფერი გააწყო ივო შუშაკთან. მათ შორის საუბარი კი შედგა, მაგრამ ხორვატი ისევ შეუვალი აღმოჩნდა და ფორვარდს განუცხადა, მოსკოვში აღარ მჭირდებიო, თუმც 1 მარტს კვიპროსში დანარჩენ დინამოელებს ისიც გაჰყვება.

ერთი საინტერესო დეტალიც: რუსი ჟურნალისტის კითხვას, ვის შეიყვანდა ტურნირის ახალგაზრდულ სიმბოლურ ნაკრებში, ივო შუშაკმა ასე უპასუხა: „მართალია, იაშვილი დავსაჯე, მაგრამ ის უეჭველად საუკეთესო იყო."

დავით ერაძე

დევიდ ბენტლიმ „ჰაიბერის“ თავი მოაწონა, „არსენალმა“ კი თავი შეირცხვინა

ვენგერი არ ნანობს და არც რცხვენია

ინგლისი

ლიგის თასი
1/2 ფინალი. I მატჩი

არსენალი 0:1 მიდლსბრო

0:1 ჟუნინიო პაულისტა (53)

არსენალი: სტაკი, ჯ. ტურე, სიგანი, კიოუნი, კლიჩი, პარლოუ, ედუ, ფილბერტო სილვა, ბენტლი (სმიტი 73), კანუ, ოვუსუ-აბეი (თომასი 64)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, ეპიოგუ, რიგოტი, კედრუ, მენდიეტა (პარნაბი 80), ბოატენგი, დორივა, ზენდენი, ჟუნინიო პაულისტა, მაკარონე (ჟობი 77)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: ჟუნინიო პაულისტა, კედრუ, მილსი

მსაჯი: დანი

31 070 მაყურებელი

სამშაბათ საღამოს არსენ ვენგერმა არად ჩააგდო კარლინგის თასის ნახევარფინალი და მეორე შემადგენლობით გავიდა „მიდლსბროსთან“ სათამაშოდ. „ბორომ“ ჟუნინიოს გოლით დაამარცხა „მეთოფეები“ და ეს მეტად სასიხარულოდ დაურჩა, რადგან ორმატჩა ნახევარფინალის პირველი, გასვლითი თამაში მოიგო „ჰაიბერიზე“.

ჟუნინიომ გაისკა მენდიეტას მახვილგონიერი მოქმედების შემდეგ გაუტანა მეკარე გრემ სტარკს, ინგლისურმა მედიამ კი ვენგერი გაამათრახა, ასე ღიად შეჯიბრის არად ჩაგდება სადაური წესიაო.

„არ ვნანობ და არც მრცხვენია — განაცხადა „არსენალის“ მენეჯერმა. — თერთმეტი კაცი, რომელმაც ერთი დღის წინ „ვილასთან“ ითამაშა, დღეს ვერ ითამაშებდა. თვითმკვლელები კი არა ვართ. წავაგეთ მაგრამ მეორე თამაში წინ გვაქვს. ჩვენ ყოველთვის მოსაგებად გამოვდივართ“.

აღსანიშნავი კი ის არის, რომ ძირითადში პირველად ითამაშა კუინსი ოვუსუ-აბეიმ, ხოლო ასე თუ ისე ნაცნობმა 19 წლის ნახევარმცველმა დევიდ ბენტლიმ ნიჭითა და უნარით „ჰაიბერის“ ტაში მიიღო.

ირაკლი გამყრელიძე

პიპ-პიპ!

ჟურნალ „ნათსის“ გამოკითხვამ დაადგინა, რომ პრემიერლიგელ ფეხბურთელთა უმეტესობა BMW X5-მარკის ოთხთვალას ეტრფის. 48 მოთამაშეს სწორედ ეს ავტომობილი ჰყავს, ხოლო თუ რომელი ავტოთი დაჰქრიან დანარჩენები, ამის მოხსენებასაც არ დაგამადლით. გთავაზობთ პრემიერლიგელთა შორის ათ ყველაზე პოპულარულ ავტომობილს

1. **BMW X5** ფასი 36 ათასი გირვანქა. დააჭენებს 48 ფეხბურთელი. მათ შორის: დემიენ დაფი, ალან სმიტი, სემი ჰიიპია, ნიკი ბათი.
2. **RANGE ROVER AUTOBIOGRAPHY** 61 ათასი გირვანქა. (37). სოლ კემპბელი, მაიკლ ოუენი, როი კინი.
3. **ASTON MARTIN VANQUISH** 167 ათასი გირვანქა. (18) ტიერი ანრი, რაიან გიგზი, ჯო კოული, ბუდევინ ზენდენი.
4. **MERSEDES MLS 550** 64 ათას 400 გირვანქა. (16), რუუდ ვან ნისტელროი, ფრედერიკ ლიუნგბერგი, პოლ სქოულზი.
5. **JAGUAR XK8** 64 ათას 900 გირვანქა. (15). ალან შირერი, ხუან პაბლო ანხელი, ტიმ ჰოვარდი.
6. **FERRARI E360 SPYDER** 119 ათას 638 გირვანქა. (10) ხუან სებასტიან ვერონი, პაოლო დი კანიო, ივან კამპო.
7. **MERSEDES ML350** 43 ათას 700 გირვანქა. (9) სტივ მაკმანამანი, დიონ დაბლინი, ლომანა ლუა ლუა, სტივენ კარი.
8. **BMW M3** 42 ათას 535 გირვანქა. (9) ტრევორ სინკლერი, ჯეი ჯეი ოკოჩა
9. **AUDI RS6** 58 ათს 875 გირვანქა. (7) პოლ ინსი, გრემ ლე სო, ტიტუს ბრამბლი
10. **VOLVO XC90** 30 ათასი გირვანქა. (6) ჯეისონ იუელი, საიმონ ჩარლტონი

უკვე საბოლოოდ გაირკვა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი ოლე გუნარ სოლსკიაერი წლეულს ვეღარ ითამაშებს: მას კიდევ ერთი ოპერაცია უნდა გაუკეთონ მუხლზე

სოლსკიაერის წელიწადი სექტემბერში დასრულდა

ადრევე გამოეცხადებინათ, რომ ნორვეგიელი გასულ კვირაში დაუბრუნდებოდა გუნდს და ვარჯიშს, მაგრამ გაირკვა, რომ 30 წლის ფეხბურთელი ვერაფრით ითამაშებს, თუ კვლავაც ქირურგის მაგიდაზე არ დაწვა. „ეს ძალიან სერიოზული ტრავმაა და სიფრთხილე გვმართებს“ — თქვა ოლეს აგენტმა ჯიმ სილბაკენმა.

სოლსკიაერს სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია, მან ზედიზედ 25 მატჩი გამოტოვა.

„ამ ფეხის მოშუშებას სამი თვიდან ერთ წლამდე დასჭირდება. მას იმ ყაიდის ტრავმა აქვს, „მანჩესტერ სიტის“ ალფ-ინგე ჰაალანდს ფეხბურთისთვის რომ დაანებებინა თავი. ეს არ ნიშნავს, რომ ოლესაც ეს ბედი ელის, მაგრამ ექიმებმა კიდევ ერთხელ უნდა ჩახედონ მის მუხლს. ახლა ოლე ძალიან დამწუხრებულია“.

სოლსკიაერის მძიმე ტრავმამ კი ის გამოიწვია, რომ „მანჩესტერმა“ ლუი საჰა გადაიბირა „ფულემიდან“. თუმცა, სერ ალექს ფერგიუსონი მაინც ამბობს, რომ ნორვეგიელი მომჯობინდება და კვლავაც დაიკავებს თავის ადგილს გუნდში, სადაც ბოლო დროს მარჯვენა ნახევარმცველადაც მშვენივრად გამოავლინა თავი.

ირაკლი გამყრელიძე

ფინანსურად შეჭირვებულმა „ლიდსმა“ ორშაბათს ერთი დამატებითი კვირა ითხოვა თავისი ვალების დასაფარად. კლუბს 80 მილიონ გირვანქაზე მეტი აქვს გადასახდელი, მაგრამ მავანი ბაჰრეინელი შეიხის და მისი ფინანსური ჯგუფის იმედი აქვს. თუმცა, ამ ჯგუფის დახმარება მხოლოდ სეზონის ბოლოდანაა მოსალოდნელი.

ლიდსური პატრიოტიზმი

იორკშირელმა ფეხბურთელებმა ხელფასის ნახევარზე უარი თქვეს



ტრევორ ბირჩს ალან სმიტისა და მარკ ვიდუკას გაყიდვა ალბათ მაინც მოუწევს

შუა კვირაში მსხვერპლი გაიღეს თავად იორკშირული გუნდის ფეხბურთელებმაც, ისინი კლუბის ალმასრულებელ თავჯდომარეს ტრევორ ბირჩს შეხვდნენ და თავიანთი ხელფასებიდან თანხის მოკვეთაზე ესაუბრნენ. პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის ცნობით, მოთამაშეები საკუთარი ხელფასის ნარჯზე დახმარებას დათანხმდნენ.

ჯერჯერობით უცნობია, დასჭირდება თუ არა „ლიდსს“ ფეხბურთელთა ხელფასები, მაგრამ ფეხბურთელები მართლაც მოწადინებულნი არიან და სურთ კლუბი დალაგდეს და პრემიერლიგაშიც დარჩეს.

მეორე მხრივ კი, იმასაც ამბობენ, რომ საიანვრო ფანჯარას „ლიდსი“ სხვა მხრივაც გამოიყენებს და გუნდში შემორჩენილ რომელიმე ვარსკვლავს გაყიდის.

ყველაზე დიდი ხელფასი კლუბში მარკ ვიდუკას აქვს, რომელიც ახლა ოჯახური გასაჭირის გამო ავსტრალიაშია. ფიქრობენ, რომ კლუბი შეელევა მეკარე პოლ რობინსონს, ან თავის უერთგულეს ალან სმიტს. „ლიდსს“ სასწრაფოდ სჭირდება 5 მილიონი გირვანქა, რათა კრედიტის პროცენტი დაფაროს, წლის ბოლოს კი მის დამხმარეებს ეცოდინებათ, რომელ ლიგაში იქნება ტანჯული კლუბი და ამის მიხედვით იმოქმედებენ.

ირაკლი გამყრელიძე

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ფრე ლაციოს სასარგებლოდ

ჯუზეპე ფავალიმ ადრიანოს ფეხი არ გაანძრევინა

იტალია

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი

პარმა 1:1 ლაციო (0:2)

0:1 სტანკოვიჩი (71), 1:1 ბრეშიანო (81)
პარმა: ამელია, ბენარივო, მ. ფერარი (იიოლა 73), პ. კანავარო, სერიჩი (ი. კამარა 65), ბრეშიანო, დონადელი, როზინა, კარბონე, ჟუნიორი (ე. ფილიპინი 46), ადრიანო
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
ლაციო: სერენი, ოდო, სტამი, მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე, ჯანიკედა (დაბო 72), დ. სტანკოვიჩი, სეზარი (ლივერანი 65), კორადი (ა. დელგადო 84), ქ. ლოპესი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ფილიპინი
მსაჯი: მორგანტი
5 981 მაყურებელი

„პარმას" „ლაციოსთან" პირველ შეხვედრაში წაგებული 0:2-ის გამოსწორება სჭირდებოდა, მაგრამ ვაგლახ, მხოლოდ ფრე. 1:1 გაახერხა და კოპა იტალიას გამოეთიშა. ნახევარფინალში „ლაციოა".

რომაელთა მეკარეს, მატეო სერენის ასეთი შედეგის მისაღწევად ერთ ეპიზოდში მაღალ კუთხეში გაფრენა და მარკ ბრეშიანოს დარტყმის იქ მოგერიება მოუწია — ბრეშიანომ საჯარიმოს კიდიდან დაურტყა, ადრიანო კი კარგ ფორმაში ისევ ვერ იყო და ჟუნიორის მოხდენილი დაბალი პასი ვერ დაიმორჩილა. კიდევ, იმავე სერენიმ მატეო ფერარის თავური მოიგერია ჩინებულად.

„ლაციომ" ამ შეხვედრაში სეზარი ათამაშა. ბრაზილიელმა სამი თვის წინ ფეხი მოიტეხა და მას მერე ვერა და ვერ დაბრუნდა მოედანზე, ახლა კი, როგორც მოგახსენეთ, ითამაშა და მარცხენა ფრთაზე ანტონიო ბენარივოს შეუქმნა სერიოზული პრობლემები. მისი დახმარებით ბერნარდო კორადი და დეიან სტანკოვიჩი ჩვეულზე მაღლა მწვავედ უტევდნენ, თუმცა „პარმას" ახალმა გოლკიპერმა მარკო ამელიამ ტოლი არაფერში დაუდო.

67-ე წუთზე ერთი საკამათო ინციდენტიც მოხდა: ისე გამოჩნდა, რომ სინიშა მიხაილოვიჩმა ადრიანოს მაისურაზე დაქაჩა, მაგრამ მსაჯმა ხელი აიქნია, მაგაზე მე პენალტს არ დავნიშნავო.

და ამის შემდეგ რომაელებმა ანგარიში გახსნეს — კლაუდიო ლოპესმა კლასიკური კონტრშეტევის სტილში მოედანი სპრინტერივით გადაირბინა და სტანკოვიჩს საგოლე ასისტენტობაც გაუწია. ამის შემდეგ „პარმამ" მოიწადინა გათანაბრება და გაათანაბრა კიდეც, როდესაც ბრეშიანომ მარჯვენა ფეხით ჩაახვია ბურთი კარში.

პაპუნა ძედია

ნუ წახვალ, პრეზიდენტო!

მორატის რონალდო და ემრე გამოექომაგნენ



მასიმო მორატიმ „ინტერი" ჯაჩინტო ფაკეტის დაუტოვა

„ინტერის" აწ უკვე გადამდგარმა პრეზიდენტმა, მასიმო მორატიმ თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა.

„ჩემი წასვლა ტრაგედია არ არის. ეს უბრალოდ ნაბიჯის განზე გადადგმაა, რათა ყველაფერი სხვა კუთხიდან დავინახო" — ბრძანა პრეზიდენტმა, რომლის განცხადება გადადგომის შესახებ შინ, „ემპოლისთან" მოულოდნელ მარცხს მოჰყვა. ამ წაგების შემდეგ „ინტერი" ლიდერს, „რომას" 11 ქულით ჩამორჩება. აღსანიშნავია, რომ იმ მატჩის შემდეგ ქომაგები იმდენად შეურაცხყოფილნი იყვნენ, რომ გუნდის ავტობუსს „სან სიროდან" არც კი უშვებდნენ. მათ გამოფენილი ჰქონდათ პლაკატები, რომლებზეც მორატის საწინააღმდეგო მოწოდებები ეწერათ.

„ჩემს გადადგომას კვირის წაგებასთან საერთო არაფერი აქვს — განაგრძო მილიონერმა — ტრიბუნაზე მხოლოდ ერთი პლაკატი დავინახე და იმაზეც განსაკუთრებული არაფერი ეწერა".

მორატიმ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში „ინტერს" მართლაც დიდძალი ფული დაახარჯა, მაგრამ იტალიის ჩემპიონი მაინც ვერ გახდა. ახლა იგი აცხადებს, რომ კლუბის მეპატრონეობას თავს ჯერ არ ანებებს, ხოლო თავის კაბინეტში ყველაზე ღირსეულ კაცად აქამდე ვიცე-პრეზიდენტ, წარსულში ცნობილ ფეხბურთელს ჯაჩინტო ფაკეტის ხედავს.

„ამ საქმეს ყველაზე კარგად ფაკეტი გაართმევს თავს — ამბობს მორატი — ხოლო ქომაგებს არ უნდა გაუკვირდეთ თუ კლუბს მეპატრონეც გამოეცვლება".

თუმცა, ფეხბურთელების ერთი ნაწილის, ყოველ შემთხვევაში თურქი ემრეს აზრით, იმაში, რაც „სან სიროს" შავ-ლურჯ ნაწილში ხდება, დამნაშავე მორატი სულაც არ არის. სხვათა შორის, „ემპოლისთან" ავადმოსაგონარ შეხვედრაში ემრე მოედნიდან გააძევეს.

„მე შესაძლოა, მართლაც დამნაშავე ვიყო, მორატი კი არაფერ შუაშია, მან კლუბისთვის ყველაფერი გაიღო. პრეზიდენტმა საქმეში დიდძალი თანხა ჩადო და ამ თანხით ძლიერი გუნდი უნდა შექმნილიყო. მორატი ასეთ გუნდს იმსახურებდა, მაგრამ ჩვენ ვერ შევუქმენით. იმედი მაქვს, ის გადაწყვეტილებას გადახედავს" — თქვა ემრემ.

საინტერესოა, რომ „ინტერში" შექმნილ მდგომარეობას გამოეხმაურა ბრაზილიელი რონალდოც: „ცნობამ მორატის გადადგომის შესახებ დამამწუხრა. მახსოვს, ხუთი წლის წინანდელი ამბავი, „იუვენტუსთან" შეხვედრაში პენალტი რომ არ მოგვცეს და რომ გადადგა. მაშინ „ინტერის" სიყვარულმა იგი უკან მოიყვანა და იმედი მაქვს, ახლაც იგივე განმეორდება".

პაპუნა ძედია

სამში ძნელია

ჟოზე მაურინიუმ იტალიისკენ გაიხედა

„პორტუს" მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ ამბობს, რომ სიამოვნებით მოსინჯავდა ძალას იტალიურ ფეხბურთში.

„ჯერ კიდევ „პორტუსთან" ვარ კონტრაქტით შეკრული, მაგრამ კარგი წინადადებით თუ მომმართავენ, სიამოვნებით გავწყვეტ ამ ხელშეკრულებას. ჩემთვის კარგი წინადადება ინგლისური ან იტალიური სამეულების გუნდებიდან თუ მოვა" — თქვა სპეციალისტმა, რომელიც სურვილთან ერთად სრულიად ცხადად გრძნობს ვითარებას და ამბობს, რომ გნებავთ ერთი და გნებავთ მეორე ქვეყნის ზედა სამი კლუბი ამ ეტაპზე მწვრთნელის შეცვლას არ ისურვებს.

იტალიაში, ფაქტია, რომ „მილანი" კარლო ანჩელოტის ჯერ კიდევ კარგახანს არ გაუშვებს, ხოლო მარჩელო ლიპის „იუვენტუსთან" 2005 წლამდე აქვს კონტრაქტი. მართალია ამბობენ, რომ ლიპი ამ ზაფხულს იტალიის ნაკრების მწვრთნელი გახდება, ანუ „იუვეს" თავკაცის პოსტი გათავისუფლდება, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, ძალიან საეჭვოა ტურინელებმა მწვრთნელად მაურინიუ მიიწვიონ. საეჭვოა მწვრთნელები შეცვალონ „რომამ" და „ინტერმაც", ხოლო „ლაციოს" რობერტო მანჩინი რომც მობეზრდეს, ფინანსური მდგომარეობა არ მისცემს ახალი მწვრთნელის მიწვევის საშუალებას.

მოგეხსენებათ, 40 წლის მაურინიუ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული და პერსპექტიული სპეციალისტია. მისი ხელმძღვანელობით „პორტუმ" უეფას თასი მოიგო და ზემოხსენებული „ლაციოც" ნახევარფინალში დამაჯერებლად დაამარცხა.

პაპუნა ძედია

მარჩელო ლიპი ტურინიდან სხვაგან არც იხედება

მცველები აქაც ბევრი მყავს

„იუვენტუსის" მწვრთნელი მარჩელო ლიპი ამბობს, რომ ამ იანვარში მისი გუნდი ახალ ფეხბურთელს არ დაიმატებს. მოგეხსენებათ, „ბებერ ქალბატონზე" ამბობდნენ, „პარმადან" მატეო ფერარის შეძენას აპირებსო. იყო სხვა ხმებიც.

„დიახ, ალესანდრო ბირინდელიმ და ჩირო ფერარამ ტრავმები მიიღეს, მაგრამ ახლებს სხვაგან რომ არ დავუწყოთ ძებნა, აქ „იუვენტუსშიც" ბევრი მცველი გვყავს. არავის ყიდვას არ ვაპირებთ" — ბრძანა ტაქტიკოსმა, რაც შეეხება მის მიერ ჩამოთვლილ მცველებს, ბირინდელი ორი თვით ჩამოსცილდა საქმეს, ხოლო ფერარა ორი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება გუნდს.

პაპუნა ძედია



გერმანელის ინგლისური სამოთხე
მილანში გასულელებული ლემანი არსენალში დაჭკვიანდა

ათადან და ბაბადან ხალხი იმაზე ბჭობს, სამოთხე სად არისო. სად არის და ინგლისში — თვლის ლონდონის „არსენალის“ გერმანელი მეკარე იენს ლემანი. რატომ? კლუბი ფანტასტიკურია, ოჯახი საუკეთესოდ მოეწყო, გულშემატკივრებმა აღარ იციან, რით ასიამოვნონ. ჰოდა, მეტი რა უნდა უნდოდეს კაცს?!

გერმანიაში კი ცოტა სხვაგვარად ყოფილა. „დორტმუნდიც“ არ იყო „არსენალის“ დონის გუნდი და გულშემატკივრებიც მალიმალ შემოსწყრებოდნენ-ხოლმე თავის კარის დარაჯს.

მოკლედ, ინგლისში ლემანმა სამოთხე იპოვა, მაგრამ ისეთი ხასიათი აქვს, პატარ-პატარა უსიამოვნებები იქაც მოსდის. ახალი წლის წინა დღეებში ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გერმანელი დატუქსა, მეტოქეს ბურთი როგორ ესროლეო

— ასეთი ხასიათი მაქვს — უთხრა „არსენალის“ ბაზაზე სავარჯელში გამხლართულმა ლემანმა „როიტერის“ ჟურნალისტს — სხვანაირი ლემანი ოდესმე გინახავთ? როცა თავს მესხმიან, უკან დახევა არ მიყვარს და მუდამ სამაგიეროს ვუხდი. მაშინაც ეგრე მოხდა, ფეხზე დამაბიჯა და როგორ შევარჩენდი.

ოღონდ ნუ გააკრიტიკებ და თუ საჭიროა, ლემანი თვითონ გააკრიტიკებს საკუთარ თავს.

— ვაღიარებ, რომ დიდი სისულელე ჩავიდინე, „მილანიდან“ რომ წამოვედი. სპორტული პერსპექტივის თვალსაზრისით, უკეთესი იყო, იქ დავრჩენილიყავი. მაგრამ მაშინ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ვიუკადრისე და გასასვლელისკენ მიმითითეს.

თუ გახსოვთ, ლემანი „მილანში“ 1998 წელს მივიდა და სეზონი ძირითად მეკარედ დაიწყო. მეორე მეკარე მაშინ სებასტიან როსი იყო, მესამე კი კრისტიან აბიატი. მაგრამ გერმანელს ხუთი თამაში აცალეს და რაკი გოლს გოლზე უშვებდა, სათადარიგოდ გაამწესეს. მერე კი ისე მოხდა, როგორც თავად ლემანი აღიარებს.

— უცხოეთში მეორედ გადაბარგებისას კი აშკარად გამიმართლა, „არსენალში“ ყველაფრით კმაყოფილი ვარ. ჩემი ოჯახიც, მეუღლე სონი და შვილები, მეტი და ლესიც ჩემთან მყავს, იტალიაში კი მარტო ვცხოვრობდი.

თუმცა ინგლისში ჩასულ ლემანებს პრობლემა მაინც შეექმნათ, ენა არ იცოდნენ.

— რა პრობლემაა, ბავშვები ინგლისურს სკოლაში სწავლობენ, მე და ჩემი ცოლიც ვმეცადინეობთ. როცა „არსენალში“ თამაშის შანსი მოგეცემა, წვრილმანებზე არ უნდა იწუწუნო.

რა განსხვავებაა ინგლისურ და გერმანულ ფეხბურთს შორისო, ჰკითხეს ლემანს.

— თამაში ინგლისში უფრო სწრაფია. ფეხბურთელები უფრო ტექნიკურებიც არიან და შესაბამისად აქაური ფეხბურთი უფრო მრავალფეროვანია. კიდევ ის მომწონს, რომ ინგლისში მოედანზე მეტოქეები ერთმანეთის მიმართ უფრო აგრესიულებიც არიან. როცა ვამბობ, რომ ინგლისური ფეხბურთი ჯობია გერმანულს, მხოლოდ საუკეთესო გუნდების მიხედვით არ ვმსჯელობ. საშუალო დონე აქ გაცილებით მაღალია.

— დორტმუნდელი გულშემატკივრებისგან ტაში რამდენჯერ მომისმენია, მაგრამ ერთ ამბავს არ ივიწყებდნენ. „შალკეში“ ფეხ- მაშინას — „დორტმუნდს“ ორი გოლი გაუტანეს. პირველი პენალტით, მეორე კი ბოლო წუთზე თავურით. იმ ამბის მერე რამდენი წელი გავიდა და მაინც ახსოვდათ და წამომაძახებდნენ-ხოლმე. გულშემატკივარი სამართლიანი უნდა იყოს, რა, მეტოქისთვის არ უნდა გამეტანა? იმაზე ფიქრს ხომ არ დავიწყებდი, ვაითუ ოდესმე „დორტმუნდში“ გადავიდე დ იქაურებს არ ეწყინოთო.

ლონდონელი ფანები კი ლემანს ბევრ რამეს პატიობენ. თუნდაც იმას, „ლიდსთან“ სათასო შეხვედრაში ყოვლად სულელურად რომ ჩააბარა ბურთი მარკ ვიდუკას და გოლი გაატანინა.

და ცხადია, რომ „არსენალში“ გადასვლით ლემანის ამბიცია ვერ დაკმაყოფილდებოდა. წინ ევროპის ჩემპიონატია, ორი წლის მერე კი მისი სამშობლო მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.

— რა თქმა უნდა, ნაკრებში ვითამაშებ თუ არა, მწვრთნელის გადასაწყვეტია, მაგრამ თავადაც ხომ უნდა ივარგო და მწვრთნელს თავი მოაწონო. სხვათა შორის, აქ, ინგლისში, მეკარეები გაცილებით უფრო გვიან ამთავრებენ კარიერას, ვიდრე გერმანიაში. ამიტომ ვფიქრობ, რომ ოლი კანზე მეტი შანსი მაქვს მომდევნო ორ ჩემპიონატზე ვითამაშო.

იენს ლემანიც და ოლივერ კანიც 34 წლისანი არან. ისე, ბუნდესნაკრებში კანის მემკვიდრეობას შტუტგარტელ ტიმო ჰილდებრანდს უქადიან.

ირაკლი ნინიძე

ნუ ეთამაშებით სიკვდილს!
7 მილიარდი ევრო ევროპულ ფეხბურთს მოკლავს

ევროპული ფეხბურთი დინებას მიჰყვება, მაგრამ გერმანული „კიკერის“ აზრით, მალე წყალი შესაძლოა ისე აიმღვრეს, რომ ბობოლა კლუბებისგან ტკიბილი მოგონება და სურათებიღა დარჩეს. „კიკერმა“ გამოთვალა და აღმოაჩინა: ევროპული გუნდების საერთო ვალი 7 მილიარდ ევროს უკაკუნებს

2003 წლის 31 დეკემბერს უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი პენსიაზე გავიდა და სიტყვა დატოვა: „დღევანდელი ფეხბურთის სვლა სიკვდილთან შეჯიბრს ჰგავს, რომლის მოგებაც შეუძლებელია.“ აიგნერის აზრით, სანამ კლუბების ბიუჯეტის 80 პროცენტი მოთამაშეთა ჯამაგირზე მიდის, ფინანსური პრობლემები არ მოგვარდება.

ლევერკუზენის „ბაიერის“ მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა აიგნერს კვერი დაუკრა: „ფეხბურთი 180 კმ/სთ-ში სიჩქარით უფსკრულში მიექანება“. არადა, ბუნდესლიგის კლუბთა ფინანსური მდგომარეობა სხვა ქვეყნებთან შედარებით კარგია, რადგან მათი ვალი 700 მილიონ ევროს არ აღემატება.

ორიოდ წლის წინ ევროპელი ბანკირები შეთანხმდნენ, რომ 2007-წლიდან კლუბებზე კრედიტებს მკაცრად განსაზღვრული პირობებით გასცემენ, თუმც გერმანიაში ამგვარ პოლიტიკას უკვე მისდევენ და ბუნდესლიგის კლუბები ფულს ბანკიდან ისე იოლად ვეღარ იღებენ, ადრე რომ შეეძლოთ.

ფულზე დახარბებულ ევროფეხბურთს გერჰარდ აიგნერმა სიკვდილი უწინასწარმეტყველა

ამგვარ ვითარებაში, ცხადია, ჩიხიდან გამოსვლის გზებს ეძებენ და არაერთი პროექტიც დაწერეს. გერმანიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტის ვერნერ ჰაკმანის აზრით, ბუნდესლიგის მატჩები დღის 12 საათზე რომ დაიწყოს, უკეთესი იქნება. ჰაკმანის არგუმენტია.. ჩინეთი, ამ დროს (ანუ დღის 12 საათზე) ჩვენი ლიგის თამაშებს ჩინელებიც ნახავენ და იქაურ ბაზარს თუ დავიპყრობთ, ეგებ შემოსავლის დამატებითი წყარო გაგვიჩნდესო.

იდეა ბევრია, მაგრამ განსაკუთრებული მხარდაჭერა ვერ ცერთა ვერ მოიპოვა, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ფინანსური კრიზისის შეჩერების ერთადერთი ხერხი არსებობს — ფეხბურთელთა ხელფასების შეკვეცა. ამის გაკეთება იოლი არ იქნება, რადგან მოთამაშეთა უმრავლესობას სამ-ოთხი წლის წინ გაფორმებული კონტრაქტები აქვთ და პირობების შესრულებას მოითხოვენ.

ჯამაგირის შემცირების გარდა არსებობს კიდევ ერთი რეალური საშუალება კრიზისის დაძლევისა — გუნდში მოთამაშეთა რაოდენობის შემცირება. ასეთი პოლიტიკა თუ განხორციელდა, ბევრი უმუშევარი მობურთალი გაჩნდება. მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰიონესი: „ფეხბურთელები რძისა და შამპანურის აბაზანებში რომ ბანაობდნენ, ის დრო დასრულდა. ბაზარიც „მოკვდა“. მოთამაშე ვეღარ იტყვის — „ბაიერნში“ პრობლემა მაქვს, ჩემს ჭკუაზე თუ არ გაივლით, სხვაგან წავალო ჯამაგირის ჩამოჭრა გარდაუვალია, რადგან პირობებს უკვე ჩვენ, კლუბები ვკარნახობთ.“

ბუნდესლიგელთა გაჭირვება იტალიელებთან შედარებით ზღვაში წვეთია. „ლაციოს“ ვალი დაახლოებით 310 მილიონი ევროა, „რომას“ — 225 მილიონი დაუგროვდა, ამ დროს კი გუნდი „სკუდეტოს“ უმიზნებს. „პარმა“ „პარმალატის“ გაკოტრებას შეეწირა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო: „უახლოესი თვეები ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება. კლუბები ახლავე თუ არ შეცვლიან საკუთარ პოლიტიკას ხელფასებთან დაკავშირებით, მერე გვიან იქნება.“

იტალიის მსგავსი მდგომარეობაა ესპანეთში. „ბარსელონას“ ვალმა 250 მილიონ ევროს უწია, „ვალენსიას“ — 125 მილიონი დაუგროვდა, მათზე მეტი ვალი კი „დეპორტივოს“ და „რეალს“ აქვთ.

არანაკლებად უჭირთ ინგლისში („მანჩესტერ იუნაიტედის“ გარდა). „ლიდსი“ გაკოტრების პირასაა, „მანჩესტერ სიტიმ“ კი მიმდინარე სეზონში უკვე 75 მილიონი ევრო ისესხა. მიუხედავად ამისა, პრემიერლიგელთა საერთო შემოსავალმა გასული წლის მონაცემებით 126 მილიონი ევრო შეადგინა.

რაც შეეხება საფრანგეთს, აქაც იტალიური სცენარია. „რომას“ მსგავსად ვალებშია ჩაფლული „მონაკო“, რომელიც შარშან ზაფხულში ორი კვირით მეორე დივიზიონში დააქვეითეს. დახედავთ ცხრილს და გუნდი ლიდერობს, თან ჩემპიონობის მთავარი კანდიდატია..

არაერთი კლუბის სიმდიდრისა და ფუფუნების ამბავი საპნის ბუშტივით სკდება, რადგან გადახდა უნდა ვალსაო.

გაჩა ხუციშვილი

წავალ ღიმილით და თავაწეული



უცოლშვილოდ დარჩენილი რობერტო კარლოსი ახალ ცხოვრებას იწყებს

ცოტა ხნის წინ მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა რობერტო კარლოსს კონტრაქტის 2007 წლამდე გაგრძელება შესთავაზა, ფეხბურთელმა კი ამ საკითხის განხილვა მაისამდე გადადო. რა ხდება? როგორც ირკვევა, ბრაზილიელს ცხოვრებაში რთული პერიოდი უდგას — ცოლს გაშორდა — ოღონდ ცდილობს პირადი ცხოვრება საქმისგან გამიჯნოს და მოედანზე ძველებური მონდომებით ირბინოს წინ და უკან.

— რა მოხდა „ბეტისთან“ შეხვედრაში?

— პრესინგს გვეთამაშებოდნენ, თუმცა მეორე ტაიმში დავამტკიცეთ, რომ თუ ფიზიკურად კარგად ვგრძნობთ თავს და ყურადღებასაც ვიკრებთ, ყველაფერი კარგად გამოგვდის.

— ხოაკინზე რაღას გვეტყვით?

— იცით, ხალხმა ჩათვალა, რომ მან ბრწყინვალედ ითამაშა, არადა ხოაკინმა გოლი გაიტანა, მეტი არაფერი. მას მეტოქის მცველების გაბითურება უყვარს, როგორც ამას პირველ ტაიმში გვიკეთებდა, მაგრამ აქ სხვა მომენტია. მან ყოველ შეხვედრაში ასე უნდა მოიწადინოს, თორემ ზიდანის და ჩემი დანახვა რომ განსაკუთრებით მოქმედებს, ამაში უცნაური არაფერია. დიდი ფეხბურთელი ისაა, ვინც ძლიერთანაც ძლიერად თამაშობს და სუსტთანაც.

— რაულთან რატომ იკამათეთ?

— არა, არა. ჩვენ კი არ ვკამათობდით, უბრალოდ ხმამაღლა ვლაპარაკობდით, რადგან სტადიონზე დიდი ხმაური იდგა. საქმე ის იყო, რომ მას მოედნის ცენტრში უნდა ეთამაშა, მე კი მის უკან გადავსულიყავი. საორგანიზაციო საკითხი იყო მოსაგვარებელი.

— პენალტი იყო?

— ბურთს შევეხე, მაგრამ ეს სირბილისას მოხდა და ხოაკინის ფეხსაც მოვარტყი. ჩვენ ერთად წავიქეცით. შემდეგ ის პენალტს ითხოვდა, მაგრამ პენალტი არ იყო.

— „რეალს“ რომ ვუყურებთ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ჯერ კიდევ არდადეგებია.

— შესვენების შემდეგ კარგად ვითამაშეთ, ხოლო „ვალენსიასთან“ უფრო მოვუმატებთ.

— „ვალენსიასთან“ თამაში ესპანეთის თასზე შეხვედრაზე მეტია?

— დრო გადის და ხალხი ყველაფერს ივიწყებს. „რეალმა“ „ვალენსიას“ ჩემპიონთა თასის ფინალი მოუგო და მას მერე „მესტალიაზე“ ჩასვლა სახიფათო გახდა. მაგრამ ესპანეთის ჩემპიონი „რეალია“, ჩემპიონთა ლიგაში კარგად „რეალი“ გამოდის, ასე რომ...

— კეირუშს სამართლიანად აკრიტიკებენ?

— საბოლოოდ მაინც ქება მოუწევთ. ამბობენ, „რეალს“ შეუძლია რომელიმე თამაში წააგოს და ამით არაფერი დაშავდება, რადგან რაიმე ჯილდოს მაინც მოიგებსო. ერთი სიტყვით, სამართლიანია თუ უსამართლო, კრიტიკას უნდა გავუძლოთ, მაგრამ აჯობებს კრიტიკოსები ვარჯიშებზე დაგვესწრონ და დარწმუნდნენ, რომ გუნდში ბრწყინვალე ატმოსფეროა. ამას რომ ნახავენ, კრიზისიც გაქრება. ჩვენც ხალხი ვართ, ბოლოს და ბოლოს, წარუმატებლობა ჩვენც შეიძლება შეგვემთხვეს.

— რაიმე ჯილდოს რომ მოიგებთ, გასახდელშიც იგრძნობა?

— ცხადია. ჩვენ ყოველ წელიწადს ვიგებთ რამეს და კრიტიკოსებს ყურებჩამოშვებულს ვტოვებთ.

— რონალდო მართლა განსაკუთრებულია?

— რა არის გასაკვირი? რაც მე მას ვიცნობ, ასე თამაშობს და გოლები გააქვს. რონალდოცა და რონალდინიოც ბურთთან ჩინებულად არიან, ჩვენ კი, რონალდოსთან გვაქვს კარგი ურთიერთობა.

— როგორ ფიქრობთ, თუ „რეალმა“ მართლა იყიდა ტიერი ანრი, გუნდს ეს წაადგება?

— ეს ძალიან კარგი იქნება. ვიცი, რომ პრეზიდენტს ძალიან უნდა ანრის ყიდვა. ის იოლად შეეგუებოდა აქაურობას.

— ცენტრალური მცველის ყიდვა არ არის აუცილებელი?

— „რეალმა“ ყველა საუკეთესო მცველი დაკარგა. ვფიქრობ, ერთადერთი, ვინც გამოგვადგებოდა, რობერტო აიალაა. ის იდეალური იქნებოდა ჩვენი გუნდისთვის. უცხოელ მცველთაგან ის საუკეთესოა. ვინ არ ახსენეს, გამარა, მილიტო, მაგრამ ყველას აიალა სჯობს.

— თქვენ როგორ ფორმაში ხართ?

— ძველებურად ველარ ვგრძნობ თავს. ფეხის ტრავმამ ძალიან მაზარალა. მე ხომ, ფაქტობრივად, არასდროს დავშავებულვარ და ამიტომ ამ ტრავმის გადატანა გამიჭირდა. მე ის კაცი არ ვარ, ვინც თავს გადააზხტება, ჩემი რიტმი და სტილი მაქვს. მინდა ძველებურად ავთამაშდე.

— ნუთუ ასე ძნელია ტრავმის გონებიდან ამოგდება?

— რა თქმა უნდა. ეს ორი თვეა ძალიან უსიამოვნო დღეები გადავიტანე, ხოლო როდესაც თავში რაღაც ისე არ არის, ძნელია სხეულს კარგი მუშაობა აიძულო. ახლა მთავარია ქომაგებმა იცოდნენ, რომ ჩემი პრობლემები წარსულს ბარდება და თავს ფიზიკურადაც უკეთ ვგრძნობ და ფსიქოლოგიურადაც.

— გაღიზიანებთ ჭორიკანა პრესის ყურადღება?

— განქორწინების შემდეგ პაპარაცები თავს აღარ მანებებენ. ვერ ვეგუები ამას. მე ვთხოვ მათ თავი დამანებონ, რადგან ჩემი ცხოვრება მხოლოდ ფეხბურთი არ არის და ჩემს პირად ცხოვრებას ყველამ პატივი სცეს. ჟურნალისტები კი წერენ, რომ სადღაც ვიყავი, დავლიე, დაბნეული ვარ... ასე არ არის.

— თქვენს კონტრაქტზე ამდენს რომ ლაპარაკობენ, არ გაღიზიანებთ?

— არა. უკვე ვთქვი, რომ მაისამდე ხელს არაფერს მოვაწერ.

— რატომ აწარმოებთ მოლაპარაკებას მხოლოდ პერესთან? ვალდანო?

— პრეზიდენტამდე რომ მივიდე, ჯერ ვალდანოს უნდა ველაპარაკო, ასე რომ... ვალდანო ამიტომაც მუშაობს აქ. მასთან პრობლემა არასდროს მქონია, ჯერ მას დაველაპარაკები, შემდეგ კი პრეზიდენტს.

— გსურთ კლუბმა კონტრაქტის პირობები გაგიუმჯობესოთ?

— ამას პრეზიდენტი გადაწყვეტს. განა მხოლოდ რობერტო კარლოსი აძლევს კლუბს რაღაცას, კლუბიც ხომ გამოდის საპასუხოდ. იცით, აქედან ისე მინდა წასვლა, როგორც მოვედი: თავაწეული, ღიმილით.

— არის ხალხი, რომელსაც არ სჯერა, რომ თქვენ კონტრაქტს განაახლებთ.

— მართლა? არა, მაისში კონტრაქტს ნამდვილად მოვაწერ ხელს.

— იანვარში კი ყველაზე მტკივნეული სტვენის მოსმენა იყო?

— არა. ჩვენ მოედანზე სათამაშოდ და თამაშით სიამოვნებისთვის გავდივართ, ქომაგები კი კერპების სანახავად მოდიან და თუ ისინი ცუდად თამაშობენ, უსტვენენ. 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი რომ წავაგეთ, 150 მილიონი ადამიანი ამაში მე მდებდა ბრალს, ასე რომ, 80 ათასის სტვენა ყურადღებას ვერ გამიფანტავს. მე სტვენის არ მეშინია, მე ვშიშობ, ვაითუ „რეალმა“ ჯილდო ვერ მოიგოს. ასე რომ მოხდეს, ერთ-ერთი დამნაშავე ხომ მეც ვიქნები.

— მაშ რა არის ყველაზე მტკივნეული?

— იმდენი რამ დამატყდა თავს... ცხოვრებაში ასე ცუდად არ მიგრძვნია თავი, ბოლო თვეებში რომ ვგრძნობ. დილით ვიღვიძებ, ბავშვები კი ჩემთან აღარ არიან — აი, რა არის ყველაფერზე ცუდი. მართალია, ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ თავს მარტოდ ვგრძნობ. აღარც მშობლები მყავს და აღარც შვილები...

— და ეს საქმეზე მოქმედებს?

— თეძოს ტრავმა სწორედ ამიტომ მივიღე. ხომ იცით, როდესაც ცუდ გუნებაზე იღვიძებ, ითარსები და დღეც ცუდად ეწყობა.

— კრიზისიდან როდის გამოხვალთ?

— ამწუთას. ყველაფერი თითქოს უკვე აეწყო. გპირდებით. იმედი მაქვს.

მადრიდის „რეალის“ მცველი ივან ელგერა გუნდიდან წასულ თანაგუნდელებზე ნოსტალგიამ შეაწუხა, ელგერა კლოდ მაკელელესა და ფერნანდო იეროს მისტირის, რადგან ამ ორი ფეხბურთელის წასვლის შემდეგ სამეფო გუნდის უკანა ხაზი საკმაოდ უმწეოდ გამოიყურება

ელგერას ჩივილი და რჩევა

კატალონიურ „სპორტთან“ ინტერვიუში ელგერამ თქვა: „იერო არ გახლდათ სწრაფი, მაგრამ ბურთისართმევისას ფენომენალურად ზუსტად მოქმედებდა. კლოდი კი მთელი 90 წუთის განმავლობაში დაცვა-ნახევარდაცვის გამაწონასწორებელი ძალა იყო. მათ მიერ დატოვებული ადგილები პრაქტიკულად ცარიელია“.

„რეალის“ კარიბჭის გაუმაგრებლობაზე მადრიდული პრესა განსაკუთრებით პრიმერადივიზიონის მე-20 ტურის მერე ალაპარაკდა. „ბეტისთან“ შეხვედრა კასტილიურმა გრანდმა კინაღამ სენსაციური წაგებით დაამთავრა და ყველამ სწორედ მცველთა უნიათობა შენიშნა. ეტყობა, ამიტომაცაა ივან ელგერა კლუბის თავკაცებისგან, მართალია, თავაზიანად, მაგრამ მაინც კატეგორიულად მოითხოვს, ყურადღება მხოლოდ შეტევის რიგიანად მოწყობაზე არ იყოს მიპყრობილი: „რა თქმა უნდა, კარგია, როდესაც მთელი მსოფლიო ფანტასტიკურ გუნდს გვეძახის და ჩვენი თავდამსხმელებიც ინჩადას სათაყვანებელ გმირებად ქცეულან. მაგრამ სხვებიც არ უნდა დაგვავიწყდეს და კლუბის ხელმძღვანელობასაც ცენტრალური მცველის პრობლემაზე სერიოზულად მართებს დაფიქრება. საფეხბურთო მოედნის ერთი, თუნდაც იდეალურად შეკრული პოზიციის მეშვეობით „რეალი“ საამსეზონოდ დაგეგმილ ფიესტას ვერ მიაღწევს“.

ლადო ხომერიძე

ყურით მოთრეული ფეხბურთელი

თამაში კარნახით ფიფაში გაირჩევა

წინა უქმეებზე ბელგიის ჩემპიონატში ერთი არაჩვეულებრივი მატჩი გაიმართა, „გენკმა“ „ბრიუგეს“ უმასპინძლა და 1:0 მოუგო. უჩვეულო თითქოს არაფერია, მაგრამ მასპინძელთა მეკარე იან მოონსს ყურში მინიატურული სასმენი აპარატი ეკეთა. მას სათადარიგოთა სკამიდან მწვრთნელი მიკროფონით კარნახობდა

იან მოონსს ყურში გაუჩხირეს

სიახლე ბელგიაში პირველად გამოსცადეს და ამის შესახებ ფიფას აცნობეს. ფიფელებმაც კომენტარი არ დააგვიანეს. ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა განაცხადა: „ჩვენ ბელგიის ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს და გვთხოვეს, რომ ეს საკითხი უახლოეს მომავალში განვიხილოთ. საამისოდ ჯერ მზად არ ვართ, რადგან კიდევ რამდენიმე ექსპერიმენტის ჩატარება და განხილვაა საჭირო. არსებობს დადგენილი წეს-კანონები, მაგალითად, „ფეხბურთელის ეკიპირების“ შესახებ, სადაც გარკვევით წერია, რომ მოთამაშის აღჭურვილობაში არ შეიძლება იმ საგნებისა თუ ნივთების გამოყენება, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის თავად ფეხბურთელს ან მის გარშემომყოფთ. ამიტომ მინი-სასმენების გამოყენება ჯერ ნაადრევია, კანონს ვერ გადავახტებით, მით უმეტეს, რომ არ ვიცით, როგორია ეფექტი“.

ბელგიის ფეხბურთის ფედერაციაში 6 თებერვალს შეიკრიბებიან, დაწერენ მოხსენებას და ფიფელებს გაუგზავნიან. მსოფლიო ფეხბურთის მთავარი სახლის წევრები 28 თებერვალს ლონდონში სხდომას გეგმავენ და იქ გაირკვევა ყურსასმენების ბედი.

ექსპერიმენტის „მსხვერპლმა“, მეკარე იან მოონსმა კი ნამატჩევს თქვა: „თავიდან თითქოს მეხამუშებოდა, რომ ყურში რაღაც საგანი ჩამჩხირეს. თამაშში რომ ჩავერთე, აღარ მაღონებდა, მწვრთნელის ლაპარაკი კი ისე მესმოდა, თითქოს ძალიან შორიდან ვიღაც მეძახოდა. მხოლოდ პასის მოწოდებისას მკარნახობდა და, ცხადია, არ უთქვამს, ბურთის დასაჭერად როდის გადავმხტარიყავი“.

გარდა ამისა, ექსპერიმენტის ავტორებმა აღნიშნეს, რომ დროდადრო, მწვრთნელ-მეკარეს შორის კავშირს მობილური ტელეფონებით მოსაუბრე გულშემატკივრების საუბარი ახშობდა.

ჯერჯერობით სიახლე დასახვეწია, თუმც ბელგიის ნაკრების მწვრთნელი ემე ანტუნესმა ტაში შემოჰკრა, მე ორივე ხელით ვემხრობიო: „ფიფამ მინი-სასმენების გამოყენება თუ არ აკრძალა, მე აუცილებლად ვისარგებლებ ახალი სისტემით. მწვრთნელებისთვის ეს ხომ მისწრებაა. მოთამაშეებს სწრაფად მიუთითებ, უკარნახებ რა უნდა გააკეთოს კონკრეტულ მომენტში, ფეხბურთი გაცილებით საინტერესო გახდება“.

ეს ამბავი შოტლანდიის ნაკრების გერმანელმა თავკაცმა, ბერტი ფოგთსმაც შეიტყო და ფრიად ეამა. ამ პროექტის მხარდამჭერთა შორის მიგულეთო, უთქვამს „დეილი რეკორდთან“ საუბარში. „როდესაც ამერიკულ ფეხბურთს უყურებთ, შეგიძლიათ, თავად შეაფასოთ, თუ რაოდენ ოპერატიულად იღებენ ინსტრუქციებს მოთამაშეები. ახალი სისტემით მწვრთნელს საშუალება ექნება, ფეხბურთელებს სათითაოდ ან მთლიანობაში გუნდს სწრაფად უკარნახოს და თამაშში კორექტივები შეიტანოს“.

შოტლანდიური „დანფერმლაინის“ მწვრთნელ ჯიმი კალდერვუდის აზრით, სიახლის დანერგვა ფეხბურთს გაცილებით საინტერესოს გახდის, თუმც ისიც თქვა, „ლივინგსტონ“ — „პარტიკის“ მატჩისას ფეხბურთელს იოლად გააგებინებ, მაგრამ „რეინჯერს“ — „სელტიკის“ ჯახისას, საეჭვოა, მოედანზე მყოფ რომელიმე მოთამაშეს ფანების ღრიალში რამე შეასმინოო.

მაჟა ხუციშვილი

შეტევა გალდერიზის გულზე

„იუვენტუსისა“ და „პადოვას“ ყოფილ თავდამსხმელს, 40 წლის ჯუზეპე გალდერიზის გულის ძლიერი შეტევა მოუვიდა. ფეხბურთელი, რომელსაც „ნანუდ“ იცნობდნენ, სამშაბათ საღამოს პადოვას საავადმყოფოში გააქანეს. პირველი გადაუდებელი დახმარება გალდერიზის მაშინვე ჩაუტარდა, მაგრამ ინტენსიური მკურნალობა კვლავაც გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ექიმები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.

შეგახსენებთ, რომ გალდერიზი გარდა ჩამოთვლილი კლუბებისა „ვერონაშიც“ თამაშობდა და მასთან ერთად 1985 წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა. მას აგრეთვე მოურგია „ლაციოსა“ და „მილანის“ მაისურებიც, თუმცა ბოლოს, მთელი შვიდი წლის განმავლობაში „პადოვას“ ღირსებას იცავდა.

1963 წლის 22 მარტს დაბადებული იტალიის ნაკრების ყოფილი წევრი წარმოშობით სალემიდანაა. პირველად მან ყურადღება 1981-82 წლების სეზონში მიიპყრო, როდესაც 16 გოლის გატანა მოახერხა.

დღეს ჯუზეპე გალდერიზი ბავშვთა სკოლის ხელმძღვანელია. მას გულის პრობლემა ადრე არასდროს ჰქონია.

ბაპუნა ძიძია

გერმანულმა „შალკემ“ ბრაზილიელი მცველი მარსელო ბორდონი დაიბევა. საქმე ისაა, რომ იგი 2005 წლამდე „შტუტგარტში“ ითამაშებს, „შალკეს“ კი მერე შეუერთდება. „ბორდონმა ძალიან მიმზიდველი წინადადება მიიღო, რომელზე უკეთესსაც, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევთავაზებდით“ — დანანებით აღნიშნა „შტუტგარტის“ თავკაცმა ფელიქს მაგათმა. 28 წლის მარსელო ბორდონი, რომელმაც ფინანსური თვალსაზრისითაც საკმაოდ სარფიანი გარიგება გაახერხა, სიხარულს ვერ მალავდა. იგი „შტუტგარტში“ 1999 წელს 2,2 მილიონი ევროს სანაცვლოდ ბრაზილიური „სან პაულუდან“ გადაბარგდა და მისი მაისურით 114 ჩატარებულ მატჩში 14 გოლი გაიტანა.

იტალიური „მილანი“ მცველ დანიელე ბონერას და თავდამსხმელ ფაბიო ბაცანის აკვირდება. ეს ინფორმაცია კლუბის ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა და წარსულში ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ფრანკო ბარეზიმ დაადასტურა. მან ისიც აღნიშნა, რომ „შავ-წითლები“ აღარ ეცდებიან ხორვატი დადო პრსოს გადაბირებას, რადგან უფრო სამპდორიელი ბაცანით არიან დაინტერესებულნი: „ვფიქრობ, ბაცანის დარი ფეხბურთელი „მილანს“ გამოადგება. იგი ფიზიკურად ძლიერია, ეს კი განსაკუთრებით პატარა კლუბებთან წაგვადგება, რომლებიც ძირითადად „კატენაჩოთი“ გვეთამაშებიან. ბაცანის დახმარებით ჩვენი თავდამსხმა უფრო მრავალფეროვანი გახდება“ — ამბობს ბარეზი.

ბერძენი ფეხბურთელი იოანის ამანატიდისი ფრანკფურტის „აინტრახტში“ გადაბარგდა, კონტრაქტი 2005 წლამდე გააფორმა და 6-ნომრიანი მაისურაც მიიღო. 22 წლის თავდამსხმელი უკვე დიდი ხანია, „შტუტგარტში“ ირიცხებოდა, მაგრამ ძირითადში არცთუ ისე ხშირად ჩნდებოდა, ამიტომაც ბუნდესლიგის აუტსაიდერში გადასვლა არჩია, რათა თამაშის საშუალება და ევრო 2004-ზე მოხვედრის შანსი მიეცეს. თუ ბოლოადგილოსანი ფრანკფურტელები მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგიდან გავარდებიან, მას უფლება აქვს, ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეწყვიტოს.

ესპანური „მალიორკა“ მზადაა, ბელგრადის „პარტიზანს“ თავდამსხმელ ანდრია დელიბაშიჩის სანაცვლოდ 3,5 მილიონი ევრო გადაუხადოს. აღსანიშნავია, რომ კუნძულელებმა სერბეთში „პარტიზანის“ მეორე ფორვარდ ივიცა ილიევზე დასაკვირვებლად გაგზავნეს სკაუტები, მაგრამ მათ დელიბაშიჩი უფრო მოეწონათ. გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, ბოლო სიტყვა თავად ფეხბურთელმა უნდა თქვას, რომელმაც დრო ითხოვა მოსაფიქრებლად. მისი თქმით, „მალიორკა“ კარგი გუნდია და ქალაქიც მშვენიერია, მაგრამ დარწმუნებული არ არის, რომ ჯერ ესპანურ ლიგაში თამაშს შეძლებს.

თურქულ „ფენერბაჰჩეს“ „ბაზელისა“ და შვეიცარიის ნაკრების ნახევარმცველი ჰაკან იაკინი მოსწონს. ეს უკანასკნელი 2005 წლამდე „ბაზელის“ საკუთრებაა, მისი კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, კლუბს ახლაც შეუძლია მისი გაყიდვა 3,5 მილიონ შვეიცარიულ ფრანკად. როგორც ამბობენ, თურქები მზად არიან, ახლავე გადაიხადონ 4 მილიონი. „მსურს, ჰაკან იაკინი ჩემს გუნდში თამაშობდეს. მოლაპარაკება მიმდინარეობს და მზად ვართ, საჭირო თანხაც გავიღოთ“ — თქვა „ფენერბაჰჩეს“ მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა.

ბრაზილიური ფეხბურთის ვეტერანმა ალდაირმა სერია B-ს კლუბ „ჯენოასთან“ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გაწყვიტა. როგორც 38 წლის მცველი ამბობს, მან „ჯენოას“ დატოვება პირადი პრობლემების გამო გადაწყვიტა. გეცოდინებათ, კარიერის საუკეთესო წლები მან „რომაში“ გაატარა და სარგებელიც მოუტანა დედაქალაქელებს. რომაელებმა მისი ღვაწლი კი კლუბში 6-ნომრიანი მაისურის გაუქმებით დააფასეს.

ბელგიური „ბრიუგეს“ პერუელ თავდამსხმელ ანდრეს მენდოსას მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადასვლა არ სურს. „ბრიუგე“ რკინიგზელებს მის სატრანსფერო თანხაზე უკვე შეუთანხმდა, თუმც მენდოსა ჯერჯერობით სასტიკ უარზეა. 25 წლის პერუელმა დაახლოებით კიდევ წელიწადნახევარი უნდა დაჰყოს „ბრიუგეში“. „სულ ვამბობდი, რომ აქედან წასვლა მინდა, მაგრამ ჩრდილოეთ ევროპაში გადასვლა არასდროს მიგულისხმია, მით უმეტეს, მოსკოვში. გიჟი არა ვარ, ჩემი ოჯახი ასე შორს წავიყვანო“ — გულახდილად თქვა მენდოსამ.

ინგლისური „საუთჰემპტონის“ პრეზიდენტ რუპერტ ლოუის სურს, რომ მისი კლუბი „მარსელის“ ყოფილმა თავკაცმა ალენ პერენმა გაწვრთნას. ლოუის თქმით, პერენი სწორედ ის სპეციალისტია, რომელიც „წმინდანებს“ სასურველი შედეგის მიღწევაში დაეხმარებათ. პერენს ჯერ პასუხი არ გაუცია, თუმც ამბობენ, რომ იგი თანახმაა. აქვე შეგახსენებთ, რომ „საუთჰემპტონს ამჟამად შოტლანდიელი გორდონ სტრაჩანი წვრთნის და იგი სეზონის ბოლოს გუნდიდან წასვლას აპირებს.

იტალიელი მეკარე კარლო კუდიჩინი სეზონის ბოლოს ლონდონის „ჩელსის“ დატოვებს. 28 წლის ფეხბურთელმა ეს გადაწყვეტილება მას მერე მიიღო, რაც „არისტოკრატებმა“ ფრანგული „რენიდან“ ჩეხეთის ნაკრების გოლკიპერი პეტერ ჩეხი შეიძინეს. გავრცელებული ინფორმაციით, კუდიჩინი სამშობლოში დაბრუნდება და „მილანში“ ითამაშებს. „შავ-წითლები“ უკვე მზად არიან მის სანაცვლოდ „ჩელსის“ 3 მილიონი გირვანქა გადაიხადონ.

სარგებელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. I დივიზიონი. XXXVII ტური								
24 იანვარი								
19.00	028	ბრედფორდი-კრისტალ პალასი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
ინგლისი. II დივიზიონი. XXVIII ტური								
24 იანვარი								
19.00	030	ბლეკპული-ოლდჰემი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
19.00	031	ბორნმუთი-ქუინს პარკი	2,8	3,2	2,3	1,49	1,26	1,33
19.00	032	ბრენტფორდი-რექსჰემი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
19.00	033	ბრაიტონი-ბარნსლი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
19.00	034	ნესტერფილდი-უიკომბი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
19.00	035	პარტლეფული-ბრისტოლი	2,4	3,1	2,7	1,35	1,27	1,44
19.00	036	ნორსი-სუინდონი	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38
19.00	037	უენსდი-პიტერბრო	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69
19.00	038	სტოკპორტი-პლიმუთი	3,5	3,3	1,9	1,69	1,23	1,2
ინგლისი. III დივიზიონი. XXVIII ტური								
23 იანვარი								
23.45	042	დონკასტერი-ლინკოლნი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
24 იანვარი								
19.00	043	როუტერსი-კარლაილი	1,65	3,4	4,2	1,11	1,18	1,87
19.00	044	ბერი-კიდერმინსტერი	2,1	3,3	3,1	1,28	1,25	1,59
19.00	045	კემბრიჯი-რიზდეილი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
19.00	046	ნელტენჰემ-პალი	3,5	3,2	1,95	1,67	1,25	1,21
19.00	047	ჰენლეი-ბალსალი	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2,11
19.00	048	ტორკი-ბალსალი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
19.00	049	იოვილი-ლეიტონი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
19.00	050	იორკი-პადერსფილდი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
ინგლისი. კონფერენსი. XXVIII ტური								
24 იანვარი								
19.00	056	ბარნეტი-მარგეიტი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
19.00	057	ბარტონი-აკრინგტონი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
19.00	058	დაგ ენდ რედი-ექსეტერი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
19.00	059	ფარნბორო-ალდერშოტი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
19.00	060	გრეთხენდი-სტივენეიჯი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
19.00	061	პალიფაქსი-შრიუსბერი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
19.00	062	ლეი-მორეკამბი	2,8	3,2	2,25	1,49	1,24	1,32
19.00	063	ნორთვიჩი-სესტერი	5,3	3,5	1,5	2,1	1,16	1,04
19.00	064	უოკინგი-ფორეს გრინი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
შოტლანდია. პრემიერლიგა. XXI ტური								
24 იანვარი								
16.30	068	აბერდინი-სელტიკი	11,0	5,6	1,2	3,71	1,08	1
19.00	069	დანფერმლაინი-მოზერუელი	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
19.00	070	პართსი-პარტიკი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
19.00	071	კილმარნოკი-პიბერნიანი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	072	რეინჯერსი-ლივინგსტონი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
	073	რეინჯერსი-ლივინგსტონი	0:1	1,4	3,6	4,2		
25 იანვარი								
19.00	074	დანდი-დანდი იუნაიტედი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
შოტლანდია. I დივიზიონი. XXII ტური								
24 იანვარი								
19.00	076	ბრეჩინი-ინვერნესი	4,6	3,5	1,6	1,98	1,18	1,09
19.00	077	კლაიდი-ფოლკირკი	1,95	3,4	3,3	1,23	1,22	1,67
19.00	078	როსი-ეარი	1,5	3,8	5,6	1,07	1,18	2,26
19.00	079	სტ.ჯონსტონი-რეითი	1,65	3,5	4,6	1,12	1,21	1,98
19.00	080	სტ.მირენი-ქუინი	2,6	3,3	2,35	1,45	1,23	1,37
შოტლანდია. II დივიზიონი. XX ტური								
24 იანვარი								
19.00	085	ერდრი-არბროთი	1,7	3,5	4,0	1,14	1,19	1,86
19.00	086	ისტ ფაიფი-ალოა	1,9	3,4	3,3	1,21	1,2	1,67
19.00	087	ფორფარი-დამბარტონი	2,35	3,4	2,45	1,38	1,19	1,42
19.00	088	მორტონი-პამილტონი	1,75	3,5	3,6	1,16	1,17	1,77
19.00	089	სტენჰაუსმური-ბერიკი	3,6	3,5	1,75	1,77	1,17	1,16
შოტლანდია. III დივიზიონი. XX ტური								
24 იანვარი								
19.00	092	კუოდენბითი-გრეტნა	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
19.00	093	პიტერჰედი-ისტ სტირლინგი	1,12	6,0	10,0	1	1	3,75
19.00	094	ქუინს პარკი-მონტროუზი	2,45	3,4	2,35	1,42	1,19	1,38
19.00	095	სტირლინგი-ალბიონი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
19.00	096	სტრანრარი-ელგინი	1,3	4,8	6,5	1,02	1,08	2,76
გერმანია. II ბუნდესლიგა. XIII ტური								
26 იანვარი								
23.15	099	ალემანია-ნიურნბერგი	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54
იტალია. სერია A. XVIII ტური								
24 იანვარი								
21.00	002	სიენა-პერუჯა	1,7	3,1	5,3	1,09	1,28	1,95
23.30	003	სამპდორია-რეჯინა	1,7	3,1	5,3	1,09	1,28	1,95
25 იანვარი								
18.00	004	კიევო-ბრეშა	2,0	2,9	4,0	1,18	1,33	1,68
18.00	005	ლეჩე-ლაციო	3,0	3,0	2,35	1,5	1,31	1,31
18.00	006	მილანი-ანკონა	1,07	7,0	18,0	1	1	5,04
	007	მილანი-ანკონა	0:1	1,22	4,0	5,0		
18.00	008	მოდენა-ინტერი	4,0	2,9	2,0	1,68	1,33	1,18
18.00	009	პარმა-ბოლონია	1,75	3,0	5,0	1,1	1,29	1,87
18.00	010	რომა-უდინეზე	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76
	011	რომა-უდინეზე	0:1	1,9	3,2	2,7		
23.30	012	ემპოლი-ფიორენტინა	6,5	3,2	1,6	2,14	1,28	1,06
იტალია. სერია B. XXIV ტური								
23 იანვარი								
23.30	101	ნაპოლი-ვერონა	1,85	2,5	5,3	1,06	1,37	1,69
25 იანვარი								
18.00	102	ასკოლი-კალიარი	2,3	2,5	3,5	1,19	1,38	1,45
18.00	103	ატალანტა-ფიორენტინა	1,85	2,5	5,3	1,06	1,37	1,69
18.00	104	კატანია-ვენეცია	1,8	2,6	5,3	1,06	1,34	1,74
18.00	105	ლივორნო-ალბინოლეფე	1,7	2,8	6,0	1,05	1,32	1,9
18.00	106	პალერმო-სალერნიტანა	1,5	3,4	7,0	1,04	1,23	2,28
18.00	107	პესკარა-კომო	1,7	2,8	6,0	1,05	1,32	1,9
18.00	108	ტორინო-აველინო	1,35	4,0	8,0	1	1,15	2,66
18.00	109	ტრევზო-ჯენოა	1,75	2,7	5,6	1,06	1,33	1,82
18.00	110	ტრიესტინა-მესინა	2,25	2,45	3,8	1,17	1,41	1,48
18.00	111	ვირენცა-პიაჩენცა	2,4	2,35	3,6	1,18	1,44	1,42
26 იანვარი								
23.30	112	ტერნანა-ბარი	1,6	3,0	7,0	1,04	1,3	2,09
ესპანეთი. I დივიზიონი. XXI ტური								
24 იანვარი								
22.30	014	რეალი-ვიალიარეალი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	015	რეალი-ვიალიარეალი	0:1	1,95	3,2	2,6		
00.30	016	ალბასეტე-ატლეტიკო	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
25 იანვარი								
20.00	017	მალაგა-ვალიადოლიდი	1,9	3,1	4,0	1,17	1,28	1,74
20.00	018	ვალენსია-ოსასუნა	1,5	3,5	7,0	1,04	1,23	2,33
20.00	019	სარაგოსა-მალიორკა	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
20.00	020	რასინგი-მურსია	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
20.00	021	სელტა-სოსიედადი	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
20.00	022	ესპანიოლი-ბეტისი	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44
22.00	023	სევილია-ბარსელონა	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
24.00	024	ბილბაო-დეპორტივო	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
ესპანეთი. II დივიზიონი. XXI ტური								
24 იანვარი								
21.30	116	ალმერია-კადისი	2,4	2,7	3,1	1,27	1,35	1,44
21.30	117	ლევანტე-ტენერასა	1,8	2,8	4,8	1,09	1,3	1,76
25 იანვარი								
15.00	118	ალავესი-ეიბარი	1,9	2,8	4,4	1,13	1,32	1,71
20.00	119	მალაგა(ბ)-სპორტინგი	3,1	2,7	2,4	1,44	1,35	1,27
20.00	120	ხეტაფე-ტენერიფე	2,15	2,5	4,0	1,15	1,39	1,53
20.00	121	ალხესირასი-სიუდადი	2,5	2,6	3,0	1,27	1,36	1,39
20.00	122	ზაფრა-ნუმანსია	2,35	2,6	3,3	1,23	1,37	1,45
20.00	123	კორდობა-ლეგანესი	2,3	2,5	3,5	1,19	1,38	1,45
20.00	124	სალამანკა-ელჩე	2,3	2,6	3,4	1,22	1,37	1,47
20.00	125	ლას პალმასი-რაიო	2,35	2,6	3,3	1,23	1,37	1,45
20.00	126	სერესი-ეხიდო	2,15	2,6	3,8	1,17	1,37	1,54
პორტუგალია. სუპერლიგა. XIX ტური								
23 იანვარი								
01.30	133	მარიტიმუ-ალვერკა	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
24 იანვარი								
23.15	134	პორტუ-ამადორა	1,05	8,0	25,0	1	1	6,06
	135	პორტუ-ამადორა	0:1	1,12	5,0	6,0		
00.15	136	ბელენენსეში-სპორტინგი	5,3	3,5	1,6	2,1	1,22	1,09
25 იანვარი								
20.00	137	ჟილ ვისენტე-რიუ ავე	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
20.00	138	მორეირენსე-ფეირეირა	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
20.00	139	ნასიონალი-ბრაგა	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
20.00	140	ავადემიკა-ლეირია	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
23.45	141	გიმარაეში-ბენფიკა	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
26 იანვარი								
23.45	142	ბიავიშტა-ბეირა მარი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
პორტუგალია. II ლიგა. XIX ტური								
23 იანვარი								
02.05	145	სანტა კლარა-სალგეირუში	2,3	2,9	3,0	1,28	1,3	1,47
24 იანვარი								
00.30	146	ფელგეირაში-კოვილია	1,45	3,6	5,0	1,03	1,12	2,09
25 იანვარი								
19.00	147	ავეში-ფეირენსე	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
19.00	148	სეტუბალი-პენაფიელი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
19.00	149	ოვარენსე-შავეში	2,1	3,0	3,3	1,23	1,28	1,57
19.00	150	ლეიშეიში-მადეირა	1,55	3,3	4,8	1,05	1,17	1,95
20.00	151	ეშტორილი-ნავალი	1,85	3,1	3,8	1,15	1,24	1,7
20.00	152	მაია-პორტიმონენსე	2,05	3,0	3,4	1,21	1,27	1,59
21.00	153	მარკუ-ვარზიმი	2,9	3,0	2,3	1,47	1,28	1,3
ჰოლანდია. I დივიზიონი. XVII ტური								
23 იანვარი								
23.00	158	ალკმაარი-დენ ჰაგი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	159	ალკმაარი-დენ ჰაგი	0:1	1,9	3,2	2,7		
24 იანვარი								
22.30	160	როდა-ვალვაიკი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
22.30	161	ბრედა-ვოლენდამი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
22.30	162	ზვოლე-როზენდალი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
22.30	163	ტილბურგი-ტვენტე	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
23.00	164	ვიტესი-პერენდენი	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
25 იანვარი								
15.30	165	გრონინგენი-ჰსვ	5,6	3,6	1,55	2,19	1,21	1,08
17.30	166	აიაქსი-ნაიმეგენი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
	167	აიაქსი-ნაიმეგენი	0:1	1,4	3,6	4,2		
17.30	168	ფეიენოორდი-უტრეხტი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	169	ფეიენოორდი-უტრეხტი	0:1	1,95	3,2	2,6		
ბელგია. I დივიზიონი. XIX ტური								
24 იანვარი								
23.00	170	სტ.ტრუიდენი-ბეჭერენი	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
23.00	171	ლოკერენი-სტანდარდი	3,8	3,4	1,8	1,79	1,22	1,17
23.00	172	მუსკრონი-მოლი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
23.00	173	ბეერსხოტი-ლიერსი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
23.00	174	შარლეროა-გენკი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
23.00	175	ჰეუსდენი-ლუვენ	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
23.00	176	ანდერლეხტი-გენტი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	177	ანდერლეხტი-გენტი	0:1	1,65	3,3	3,3		
25 იანვარი								
18.00	178	ვესტერლო-ატვერპენი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
23.00	179	ბრიუგე-სერკლი	1,3	4,4	9,0	1	1,13	2,95
ბელგია. II კლასი. XXI ტური								
24 იანვარი								
22.30	182	დენსელი-ვიფორი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
23.00	183	პატრიო-ვარეგემი	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
23.00	184	სპორტინგი-რუსელარე	2,5	3,1	2,45	1,38	1,23	1,36
23.00	185	ეუპენი-გეელი	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41
23.00	186	დაინკე-ბრიუსელი	4,4	3,4	1,65	1,91	1,2	1,11
23.00	187	ვირტონი-ვისეტი	1,8	3,1	3,8	1,13	1,22	1,7
25 იანვარი								
18.00	188	რონსე-ტუბეკე	2,9	3,1	2,25	1,49	1,26	1,3
18.00	189	ტინენი-აალსტი	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
18.00	190	დენდერლეე-ოსტენდე	3,6	3,2	1,85	1,69	1,22	1,17
თურქეთი. სუპერლიგა. XVIII ტური								
23 იანვარი								
22.00	205	დიარბაქირი-გალათასარაი	3,6	3,3	1,85	1,72	1,22	1,18
24 იანვარი								
15.30	206	გაზიანთეფი-ბურსა	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
15.30	207	ანკარაგიუჯუ-რიზე	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
15.30	208	დენიზლი-სეგასპი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
16.00	209	ისთანბული-ფენერბაჰჩე	4,8	3,5	1,6	2,02	1,2	1,09
25 იანვარი								
15.30	210	ტრაბზონი-კონია	1,35	4,0	8,0	1	1,15	2,66
15.30	211	ელაზიგი-გენჩლერბირლიგი	3,6	3,3	1,85	1,72	1,22	1,18
15.30	212	მალათია-ადანა	1,4	3,8	7,5	1,02	1,17	2,52
21.00	214	ბეშიქთაში-სამსუნი	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
	215	ბეშიქთაში-სამსუნი	0:1	1,7	3,2	3,2		
ინგლისი. თასი. IV ეტაპი								
24 იანვარი								
16.30	231	სკარბორო-ნელსი	14,0	6,0	1,12	4,19	1,03	1
19.00	232	არსენალი-მიდლსბრო	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
19.00	233	ბირმინგემი-უიმბლდონი	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
19.00	234	ბარნლი-ვოლინგემი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
19.00	235	ქოვენთრი-კოლჩესტერი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
19.00	236	იფსვიჩი-სანდერლენდი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
19.00	237	ლუტონი-ტრანმერი	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
19.00	238	პორტსმუთი-სანთორპი	1,2	5,3	11,0	1	1,08	3,57
19.00	239	სუონსი-პრესტონი	3,8	3,3	1,8	1,76	1,22	1,16
19.00	240	ტელფორდი-მიდლუოლი	5,3	3,6	1,55	2,14	1,19	1,08
21.35	241	ლიეერბული-ნიუკასლი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		25 იანვარი						
17.00	242	სიტი-ტოტენჰემი	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54
18.00	243	ნოტინგემი-შეფილდი	2,8	3,2	2,3	1,49	1,26	1,33
18.00	244	ვულვერჰემპტონი-ვესტ ჰემი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
19.00	245	ევერტონი-ფულემი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
20.05	246	ნორთჰემპტონი-მანჩესტერი	14,0	6,0	1,12	4,19	1,03	1
		იტალია. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები						
		22 იანვარი						
23.45	253	რომა-მილანი	2,15	3,0	3,3	1,25	1,3	1,57
		ესპანეთი. თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები						
		22 იანვარი						
23.00	256	ალავესი-სელტა	2,5	3,1	2,5	1,38	1,25	1,38
00.30	257	ბარსელონა-სარაგოსა	1,4	3,8	7,5	1,02	1,17	2,52
		საფრანგეთი. თასი. 1/16 ფინალი						
		24 იანვარი						
18.00	258	ისტრი-მონპელიე	1,5	3,5	6,5	1,04	1,21	2,27
20.00	259	მარსელი-მეცი	2,25	3,1	3,0	1,3	1,28	1,52
23.00	260	ვალანსი-შატორუ	2,2	2,9	3,3	1,25	1,32	1,54
23.00	261	ბესანსონი-კრეტეი	2,6	2,9	2,6	1,37	1,3	1,37
		25 იანვარი						
18.00	262	ტულუზა-ნიცა	2,5	3,0	2,6	1,36	1,27	1,39
		ბელგია. თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები						
		22 იანვარი						
23.30	266	ლევენ-ბრიუგე	3,5	3,3	1,9	1,69	1,23	1,2
		აფრიკის თასი (ტუნისი)						
		24 იანვარი						
22.30	270	ტუნისი-რუანდა	1,25	4,4	10,0	1	1,11	3,05

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		25 იანვარი						
17.00	271	დრ კონგო-გვინეა	2,6	2,9	2,5	1,37	1,27	1,34
19.30	272	ზიმბაბვე-ეგვიპტე	4,8	3,3	1,65	1,95	1,22	1,1
22.00	273	კამერუნი-ალჟირი	1,5	3,4	6,5	1,04	1,21	2,23
		26 იანვარი						
17.00	274	კენია-მალი	5,0	3,2	1,65	1,95	1,24	1,08
22.00	275	სენეგალი-ბურკინა ფასო	1,5	3,4	6,5	1,04	1,21	2,23
		კალათბურთი. ევროლიგა						
		22 იანვარი						
21.10	1247	შლიონსკი-ვილერბანი	1,2	10,0	3,5	1,07	1	2,59
21.10	1248	პანათინაიკოსი-მაკაბი	1,7	10,0	1,9	1,45	1	1,59
21.40	1249	ულკერი-ოლიმპია	1,3	10,0	2,8	1,15	1	2,18
23.10	1250	აეკ-ციბონა	1,45	10,0	2,3	1,26	1	1,86
23.40	1251	სკიპერი-ჟალგირისი	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
23.40	1252	პარტიზანი-რომა	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
		ხელბურთი. ეჩ (სლოვენია)						
		22 იანვარი						
21.00	1401	რუსეთი-შვეიცარია	1,15	11,0	5,0	1,04	1	3,43
21.00	1402	ხორვატია-ესპანეთი	2,1	8,0	1,75	1,66	1	1,43
21.00	1403	ჩეხეთი-უნგრეთი	3,2	10,0	1,35	2,42	1	1,18
21.00	1404	საფრანგეთი-პოლონეთი	1,1	11,0	6,0	1	1	3,88
23.30	1405	შვედეთი-უკრაინა	1,05	12,0	8,0	1	1	4,8
23.30	1406	დანია-პორტუგალია	1,12	11,0	5,6	1,01	1	3,71
23.30	1407	სლოვენია-ისლანდია	1,7	8,0	2,2	1,4	1	1,72
23.30	1408	გერმანია-სერბია	1,6	8,0	2,4	1,33	1	1,84

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			კი	არა
		24 იანვარი		
21.00	5302	სიენა-პერუჯა	1.65	1.95
23.30	5303	სამპდორია-რეჯინა	1.65	[illegible]
22.30	5314	რეალი-ვილიარეალი	1.7	1.9
00.30	5316	ალბასეტე-ატლეტიკო	1.65	[illegible]
		25 იანვარი		
18.00	5304	კიევო-ბრეშა	1.65	1.95
18.00	5305	ლეჩე-ლაციო	1.6	2.0
18.00	5306	მილანი-ანკონა	1.9	1.7
18.00	5308	მოდენა-ინტერი	1.65	1.95
18.00	5309	პარმა-ბოლონია	1.65	1.95
18.00	5310	რომა-უდინეზე	1.75	1.85
23.30	5311	ემპოლი-იუვენტუსი	1.7	1.9
20.00	5317	მალაგა-ვალიადოლიდი	1.65	1.95
20.00	5318	ვალენსია-ოსასუნა	1.65	1.95
20.00	5319	სარაგოსა-მალიორკა	1.65	1.95
20.00	5320	რასინგი-მურსია	1.65	1.95
20.00	5321	სელტა-სოსიედადი	1.6	2.0
20.00	5322	ესპანიოლი-ბეტისი	1.65	1.95
22.00	5323	სევილია-ბარსელონა	1.6	2.0
24.00	5324	ბილბაო-დეპორტივო	1.6	2.0

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

		24 იანვარი		
21.00	5402	სიენა-პერუჯა	1,55	2,5
23.30	5403	სამპდორია-რეჯინა	1,55	2,5
22.30	5414	რეალი-ვილიარეალი	1,3	3,4
00.30	5416	ალბასეტე-ატლეტიკო	1,95	1,85
		25 იანვარი		
18.00	5404	კიევო-ბრეშა	1,7	2,2
18.00	5405	ლეჩე-ლაციო	2,0	1,8
18.00	5406	მილანი-ანკონა	1,05	6,5
18.00	5408	მოდენა-ინტერი	2,2	1,7
18.00	5409	პარმა-ბოლონია	1,6	2,4
18.00	5410	რომა-უდინეზე	1,2	4,0
23.30	5411	ემპოლი-იუვენტუსი	2,8	1,45
20.00	5417	მალაგა-ვალიადოლიდი	1,65	2,3
20.00	5418	ვალენსია-ოსასუნა	1,35	3,2
20.00	5419	სარაგოსა-მალიორკა	1,8	2,0
20.00	5420	რასინგი-მურსია	1,45	2,8
20.00	5421	სელტა-სოსიედადი	1,8	2,0
20.00	5422	ესპანიოლი-ბეტისი	1,85	1,95
22.00	5423	სევილია-ბარსელონა	1,9	1,9
24.00	5424	ბილბაო-დეპორტივო	1,95	1,85

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		24 იანვარი						
21.00	5002	სიენა-პერუჯა	2,15	2,15	5,0	1,07	1,5	1,5
23.30	5003	სამპდორია-რეჯინა	2,15	2,15	5,0	1,07	1,5	1,5
22.30	5014	რეალი-ვილიარეალი	1,6	2,9	6,5	1,03	1,28	2
00.30	5016	ალბასეტე-ატლეტიკო	3,2	3,1	3,0	1,57	1,54	1,52
		25 იანვარი						
18.00	5004	კიევო-ბრეშა	2,4	2,05	4,4	1,1	1,55	1,39
18.00	5005	ლეჩე-ლაციო	3,6	2,05	2,7	1,3	1,54	1,16
18.00	5006	მილანი-ანკონა	1,15	5,6	11,0	1	1,04	3,71
18.00	5008	მოდენა-ინტერი	4,4	2,05	2,4	1,39	1,55	1,1
18.00	5009	პარმა-ბოლონია	2,2	2,1	5,0	1,07	1,52	1,47
18.00	5010	რომა-უდინეზე	1,6	2,8	7,0	1,01	1,3	2
23.30	5011	ემპოლი-იუვენტუსი	5,6	2,35	1,85	1,65	1,39	1,03
20.00	5017	მალაგა-ვალიადოლიდი	2,35	2,1	4,4	1,1	1,53	1,42
20.00	5018	ვალენსია-ოსასუნა	1,85	2,35	5,6	1,03	1,39	1,65
20.00	5019	სარაგოსა-მალიორკა	2,7	2,05	3,6	1,16	1,54	1,3
20.00	5020	რასინგი-მურსია	2,05	2,2	5,3	1,06	1,47	1,55
20.00	5021	სელტა-სოსიედადი	2,7	2,1	3,5	1,18	1,52	1,31
20.00	5022	ესპანიოლი-ბეტისი	2,9	2,1	3,3	1,21	1,54	1,28
22.00	5023	სევილია-ბარსელონა	3,1	2,1	3,1	1,25	1,55	1,25
24.00	5024	ბილბაო-დეპორტივო	3,2	2,1	3,0	1,26	1,54	1,23

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		24 იანვარი		
21.00	5202	სიენა-პერუჯა	1,8	1,8
23.30	5203	სამპდორია-რეჯინა	1,8	1,8
22.30	5214	რეალი-ვილიარეალი	1,95	1,65
00.30	5216	ალბასეტე-ატლეტიკო	1,75	1,85
		25 იანვარი		
18.00	5204	კიევო-ბრეშა	1,75	1,85
18.00	5205	ლეჩე-ლაციო	1,9	1,7
18.00	5206	მილანი-ანკონა	2,2	1,5
18.00	5208	მოდენა-ინტერი	1,75	1,85
18.00	5209	პარმა-ბოლონია	1,75	1,85
18.00	5210	რომა-უდინეზე	1,9	1,7
23.30	5211	ემპოლი-იუვენტუსი	1,9	1,7
20.00	5217	მალაგა-ვალიადოლიდი	1,75	1,85
20.00	5218	ვალენსია-ოსასუნა	1,8	1,8
20.00	5219	სარაგოსა-მალიორკა	1,75	1,85
20.00	5220	რასინგი-მურსია	1,8	1,8
20.00	5221	სელტა-სოსიედადი	1,85	1,75
20.00	5222	ესპანიოლი-ბეტისი	1,75	1,85
22.00	5223	სევილია-ბარსელონა	1,8	1,8
24.00	5224	ბილბაო-დეპორტივო	1,85	1,75

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		24 იანვარი			
21.00	5502	სიენა-პერუჯა	3,0	2,8	2,0
23.30	5503	სამპდორია-რეჯინა	3,0	2,8	2,0
22.30	5514	რეალი-ვილიარეალი	3,0	2,8	2,0
00.30	5516	ალბასეტე-ატლეტიკო	3,0	2,8	2,0
		25 იანვარი			
18.00	5504	კიევო-ბრეშა	3,0	2,8	2,0
18.00	5505	ლეჩე-ლაციო	3,0	2,8	2,0
18.00	5506	მილანი-ანკონა	3,0	2,8	2,0
18.00	5508	მოდენა-ინტერი	3,0	2,8	2,0
18.00	5509	პარმა-ბოლონია	3,0	2,8	2,0
18.00	5510	რომა-უდინეზე	3,0	2,8	2,0
23.30	5511	ემპოლი-იუვენტუსი	3,0	2,8	2,0
20.00	5517	მალაგა-ვალიადოლიდი	3,0	2,8	2,0
20.00	5518	ვალენსია-ოსასუნა	3,0	2,8	2,0
20.00	5519	სარაგოსა-მალიორკა	3,0	2,8	2,0
20.00	5520	რასინგი-მურსია	3,0	2,8	2,0
20.00	5521	სელტა-სოსიედადი	3,0	2,8	2,0
20.00	5522	ესპანიოლი-ბეტისი	3,0	2,8	2,0
22.00	5523	სევილია-ბარსელონა	3,0	2,8	2,0
24.00	5524	ბილბაო-დეპორტივო	3,0	2,8	2,0

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		24 იანვარი									
21.00	5102	სიენა-პერუჯა	2,4	10,0	20,0	3,4	4,4	9,0	20,0	10,0	8,0
23.30	5103	სამპდორია-რეჯინა	2,4	10,0	20,0	3,4	4,4	9,0	20,0	10,0	8,0
22.30	5114	რეალი-ვილიარეალი	1,8	15,0	30,0	3,4	4,8	12,0	20,0	12,0	12,0
00.30	5116	ალბასეტე-ატლეტიკო	3,8	10,0	20,0	4,8	4,4	4,4	20,0	10,0	3,6
		25 იანვარი									
18.00	5104	კიევო-ბრეშა	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	7,0	20,0	10,0	6,5
18.00	5105	ლეჩე-ლაციო	4,6	10,0	20,0	5,3	4,4	4,4	20,0	10,0	3,5
18.00	5106	მილანი-ანკონა	1,15	25,0	50,0	3,8	7,5	30,0	40,0	40,0	30,0
18.00	5108	მოდენა-ინტერი	6,5	10,0	20,0	7,0	4,4	4,0	20,0	10,0	3,0
18.00	5109	პარმა-ბოლონია	2,5	10,0	20,0	3,5	4,4	8,0	20,0	10,0	8,0
18.00	5110	რომა-უდინეზე	1,7	15,0	30,0	3,4	4,6	15,0	20,0	15,0	15,0
23.30	5111	ემპოლი-იუვენტუსი	10,0	10,0	20,0	10,0	4,6	3,4	20,0	10,0	2,2
20.00	5117	მალაგა-ვალიადოლიდი	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	7,0	20,0	10,0	6,5
20.00	5118	ვალენსია-ოსასუნა	2,0	12,0	25,0	3,4	4,4	12,0	20,0	11,0	11,0
20.00	5119	სარაგოსა-მალიორკა	3,5	10,0	20,0	4,4	4,4	5,3	20,0	10,0	4,4
20.00	5120	რასინგი-მურსია	2,3	10,0	20,0	3,4	4,4	9,0	20,0	10,0	8,0
20.00	5121	სელტა-სოსიედადი	3,5	10,0	20,0	4,4	4,4	5,3	20,0	10,0	4,4
20.00	5122	ესპანიოლი-ბეტისი	3,6	10,0	20,0	4,4	4,4	4,6	20,0	1,00	4,0
22.00	5123	სევილია-ბარსელონა	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
24.00	5124	ბილბაო-დეპორტივო	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

24.01 21.00 6001 იტალია A (XVIII) .... 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
24.01 22.30 6002 ესპანეთი Iდ (XXI) .... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
23.01 01.30 6003 პორტუგალია სლ (XIX) .... 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
23.01 23.00 6004 ჰოლანდია Iდ (XVII) .... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
24.01 23.00 6005 ბელგია Iდ (XIX) .... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

საქართველოს თასი. პირველი ეტაპი. რუსთავი 16-21 იანვარი

21 იანვარი. რუსთავი

ბასკო 97:76 თსუ

17:23 25:15 22:15 33:23

ბასკო: ი. ბერიშვილი (16), ბ. ბერიშვილი (13), კეშელავა (17), ტუჯანი (8), ბერძენიშვილი (12); იმნაძე (14), დ. ბერიშვილი (9), როდუმტა (3), ჩხატარაშვილი (3), კვიმსაძე (2)

თსუ: თორთლაძე (11), მაისურაძე (10), ნაცვლიშვილი (24), კოკოლიშვილი (2), შენგელია (16); საყვარელიძე (4), კილაძე (4), ფანჩულიძე (3), ორმოცაძე (2), ვეფხვაძე

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ გელოვანი

სტუ 103:94 რუსთავი

ძირითადი დრო 87:87

18:14 23:19 24:32 22:22 16:7

სტუ-ჯეოსელი: ნიკოლაძე (21), ხაცურიანი (23), მარკოიშვილი (5), შანიძე (22), ოგანესიანი (18); გაგნიძე (7)

რუსთავი: არწივიძე (9), გოგობერიშვილი (12), ბოისა (2), ტყეშელაშვილი (9), ჯაფარიძე (5); ჯიმშელეიშვილი (24), ბერუაშვილი (22), ლიპარტელიანი (3), გაბისონია, ჩაჩუა, დანელიანი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

დინამო 106:57 სსუ

35:14 23:10 19:15 29:18

დინამო: გამყრელიძე (21), ტულუში (7), ბეჟანიშვილი (7), აბულაძე (13); კეიდია (2), ბექაური (23), მინაშვილი (15), ლოსაბერიძე (14), ჩუბინიძე (4)

სსუ: ფარლალავა (7), კანკია (3), ბარბაქაძე, ლუკავა (6), ურიდია (6); ზანგურაშვილი (17), ფაცაცია (14), ბაღათურია (2), პატარაია (2)

მსაჯები: ლიკა ქაჯაია, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ ხომერიკი

ბასკომ და თასმა ბათუმი შეინარჩუნეს

ბუბა ბერიშვილმა და მისმა „ბასკომ“ თსუ-ს მოუგეს და შინ მშვიდობით დაბრუნდნენ

ირაკლი პერტაია *რუსთავიდან*

რუსთავში ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, სადაც გუშინ საბოლოოდ გაირკვა ის ოთხეული, 26-28 იანვარს ბათუმში საქართველოს თასის ფინალში გასასვლელად რომ შეიბმებიან.

რატომ მშვიდობიანად? მოსალოდნელი იყო, თასის გათამაშების მეორე ეტაპის მასპინძლობაზე ბათუმს უარი ეთქვა და კალათბურთის ფედერაციის მესვეურებსაც საორგანიზაციო საკითხებში გვარიანი კაზუსი მოსელოდათ. თუმც „ბასკო“ — თსუ-ს მატჩში ისეთი შედეგი დაფიქსირდა, რომელმაც რუსთავში ნაყოფიერებ ოთხეულს ზღვისპირეთისკენ ფართო გზა გაუხსნა.

არადა, თსუ-ს, რომელმაც ტურნირი სამი მარცხით დაიწყო და ლამის იმედიც გადაეწურა, გუშინწინ „ბასკოს“ „სტუ-ჯეოსელთან“ წაფორხილებით რეალური შანსი მიეცა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. საამისოდ ბათუმელთა ძლევა იყო საჭირო, მაგრამ გაცილებით ძლიერმა სტუდენტებმა ვერ მოახერხეს ჯიგრიანად მობურთალი ბათუმელების დამარცხება და განზე დარჩნენ.

საერთოდ, თსუ საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს თუ შეედრება — ცალკე აღებულ თითოეულ მოთამაშეს ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე წუნს ვერ დასდებ, თითქოს გამოცდილებაც არ აკლიათ, მაგრამ ერთიანობაში დიდი ვერაფერი გუნდი ჰყავთ და ეს თასის გათამაშებამაც დაადასტურა.

წინა მატჩებში გვარიანად არეული შემადგენლობით მოთამაშე „ბასკოს“ თავკაცმა ნუგზარ კანდელაკიმ ექსპერიმენტებს თავი ანება და თსუ-სთან პოზიციურად გაწონასწორებული ხუთეული გაიყვანა მოედანზე. დავით ბერძენიშვილს ფარზე, ჟოლივეტ ტუჯანი მიაშველა, უკანა ხაზიც, ასე ვიქვათ, ნომინალურად დააკომპლექტა. ბათუმელებმა ამით მხოლოდ იხეირეს და მართალია, თავიდანვე ვერ ააწყვეს თამაში, მაგრამ თუ ფარზე გაუჭირდებოდათ, ხარვეზებს უკანა ხაზი ავსებდა, არადა, პირუკუ ხდებოდა.

„ბასკო“ იმდენად ზუსტად ვერ ესროდა ბურთს, როგორც დაცვაში თამაშობდა და სტუდენტებმაც პირველ მეოთხედში წინ გაჭრა ვერ მოახერხეს, თუმც სადებიუტო ათწუთიანის მიწურულს მაისურაძემ, თორთლაძემ და თსუ-ს სხვა დაბღებმა კონტრშეტევებზე გამოიჭირეს ბათუმელები და მცირე შესვენებაზე 6-ქულიანი მარაგით გავიდნენ — 23:17.

მეორე მეოთხედიდან „ბასკოს“ უკანა ხაზიც ამოქმედდა. ტყუპისცალი ირაკლის ნაცვლად მოედანზე გამოსულმა დავით ბერიშვილმა მიჯრით 5 ქულა მიითვალა და ანგარიში გაათანაბრა. ბათუმელთა დაცვაც გამოცოცხლდა, განსაკუთრებით ლაშა კეშელავა ყოჩაღობდა, რომელმაც სტუდენტებს რამდენჯერმე მოჰპარა ბურთი. სწორედ „კეშას“ დამსახურებაა, რომ ზღვისპირელებმა სამწუთეული 9:0 მოიგეს და ტაიმის მიწურულს იქით მოიპოვეს 6-ქულიანი ლიდერობა.

დიდი შესვენების შემდეგ „ბასკომ“ მკვიდრი ზონა დააყენა და კონტრშეტევებით ისე იოლად იხვეჭდა ქულებს, რომ თვალის დახამხამებაში სხვაობამ 12 ქულას უწია — 54:42. სტუდენტებმა სამქულიანებით სცადეს ბათუმური ზონის გაუვნებელყოფა, რაც გიგი ნაცვლიშვილის ჩუბინობის წყალობით ერთხანს მოახერხეს კიდეც. მესამე მეოთხედის მიწურულს კი ბათუმელებმა დავით იმნაძემ იყოჩაღა, რომელმაც არც თამაშის ენდშპილში დააკლო ხელი სტუდენტებს — 64:53 „ბასკოს“ სასარგებლოდ.

ცხადი იყო, რომ ბოლო მეოთხედში თსუ ერთს მაინც შეუტევდა რიხით და თუ ბათუმელები არ გატყდებოდნენ, გამარჯვებაც ზღვისპირელებს დარჩებოდათ. ასეც მოხდა, საფინალო ათწუთეულის ახალდაწყებულზე ჯერ კახა შენგელიამ გაუმართლა სტუდენტებს, მერე კი ხელჩუბინმა ირაკლი მაისურაძემ ორი სამქულიანი მოინადირა და საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე ჩამორჩენა ქულამდე შეამცირა. თსუ-მ პრესინგი გააჩაღა მთელ მოედანზე, მაგრამ ბურთის ჩამგდები არ გამოუჩნდა, ბათუმელებმა სუსტი წერტილი იპოვეს შენგელიას სახით, რომელზეც წამდაუწუმ ჯარიმდებოდნენ, ის კი ვერ აგდებდა.

მალე მოედანზე მობრუნდა დავით იმნაძე, რომელმაც გასაღები მოარგო თსუ-ს ჩარაზულ სამწამიანს. იქით ბერიშვილებმა გაკვალეს სტუდენტთა ფარზე მისასვლელი გზები და გამარჯვებულიც სირენამდე სამიოდ წუთით ადრე გამოვლინდა, როცა „ბასკო“ 18 ქულით დაწინაურდა.

ეს გუშინდელი დღის პირველი მატჩი იყო, რომელმაც ბათუმში წამსვლელი მეოთხე გუნდი გამოავლინა. ასე რომ, „რუსთავი“ — სტუ-ს მატჩს მხოლოდ სატურნირო ინტრიგა ჰქონდა, ოთხეულს ხომ ერთმანეთში ნაგროვები ქულები ბათუმშიც მიჰყვებათ. დრამატულ ოვერტაიმიან ბრძოლაში სტუ-მ იმარჯვა და „დინამოსთან“ ერთად გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნება ბათუმში.

სატურნირო ვითარება

დინამო	5	5	0	443:351	10
სტუ	5	4	1	489:460	9
ბასკო	5	3	2	432:402	8
რუსთავი	5	2	3	428:406	7
თსუ	5	1	4	404:439	6
სსუ	5	0	5	350:486	5

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ოპერაცია „დამპალი ვაშლი“ პორტლენდს ქირურგი—ხელმძღვანელობ

20 იანვარი

საკრამენტო 104:109 პორტლენდი

ძირითადი დრო 97:97

საკრამენტო: ბიბი (10), კრისტი (3), სტოიაკოვიჩი (34), მილერი (14), დივაცი (12); ჯეკსონი (29), მასენბურგი (2), პილერი, სონგაილა

პორტლენდი: სტუდემაიერი (9), ანდერსონი (29), ვუდსი (5), რენდოლფი (16 ქულა, 11 მოხსნა), ვოლესი (26 ქულა, 15 მოხსნა); პატერსონი (9), მაკინისი (9), სტეფანია (9 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი), პერსონი (2), დევისი

იუტა 75:96 დენვერი

იუტა: არიოი (11), სტივენსონი (4), პავლოვიჩი (6), რუფინი (3 ქულა, 12 მოხსნა), ოსტერტაგი (4); უილიამსი (20), ლოპესი (13), კოლინზი (12), გრანტი (2), ბელი (1)

დენვერი: მილერი (10), ლენარდი (17), ენტონი (14), ნენე (8), კემბი (12); ბოიკინსი (15), ვაიტი (10), ცქიტიშვილი (6 წუთი, 6 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), ელსონი (2), ბოუენი (2), ანდერსენი, პოპი

ინდიანა 81:69 დეტროიტი

ინდიანა: ონილი (28 ქულა, 15 მოხსნა, 4 დაფარება), მილერი (22)

დეტროიტი: უილიამსონი (17)

დალასი 106:93 ნიუ ჯერსი

დალასი: უოლკერი (22 ქულა, 13 მოხსნა), ნოვიცკი (19 ქულა, 10 მოხსნა), ნეში (18), ფინლი (18)

ნიუ ჯერსი: მარტინი (29), ჯეფერსონი (21)

კლივლენდი 99:94 სიეტლი

კლივლენდი: ბუზერი (32 ქულა, 20 მოხსნა), ბათი (17 ქულა, 10 მოხსნა)

სიეტლი: ლუისი (27), ალენი (20)

მაიამი 84:86 ბოსტონი

მაიამი: ჰეისლიმი (18 ქულა, 17 მოხსნა), ჯონსი (17), ოდომი (12 ქულა, 14 მოხსნა, 9 პასი)

ბოსტონი: პირსი (29), ბლუტტი (16)

პორტლენდელები საკრამენტოში მორიგი მატჩის წასაგებად ჩავიდნენ. რისი იმედი უნდა ჰქონოდათ, სტუმრად მთელ ლიგაში მათზე უარესად არავინ თამაშობს — 18 მატჩიდან 16 წაეგოთ. „საკრამენტო“ კი სწორედ შინა გრძნობს თავს მეფურად, მანამდე 23 სტუმრიდან 21 გაუბითურებია. ასე რომ, შანსები მინიმალური იყო, „პორტლენდს“ კი ასეთ დროს ცხვირის ჩამოშვება სჩვევია.

სტუმრებმა მაშინაც არ ირწმუნეს თავიანთი გამარჯვება, როცა მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე 50 წამით ადრე 9 ქულით დაწინაურდნენ, ღირსებიც იყვნენ, დასჯილიყვნენ. მასპინძელმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა საიდანღაც ექვსი ქულა გაშანსა, ბრედ მილერმა ბოლო წამებზე სამქულიანიც გაისროლა, 97:97 გაათანაბრა და თამაში ოვერტაიმში გადავიდა.

აბა, ახლა ჩამოუშვა „პორტლენდმა“ ცხვირი — ნამატჩევს „ბლეიზერსის“ სათადარიგომ ჯეფ მაკინისმა აღიარა, აღარაფრის იმედი არ გვქონდაო. ერთი სიტყვით, აგებდა „პორტლენდი“ მოგებულ თამაშს.

მშველელი თითქმის არსაიდან გამოუჩნდა — დერეკ ანდერსონი, რომელიც სულ ახლახან მომჯობინდა ტრავმის შემდეგ და კრიტიკოსები იმასაც კიჟინებდნენ, სანამ ბოლომდე არ მოკეთდება, მაგის ადგილი ხუთეულში კი არა, სათადარიგოთა სკამის ბოლოშიაო.

მაგრამ ანდერსონმა „საკრამენტოსთან“ მთელი გუნდის ასაწევი მარტომ ზიდა — მის ანგარიშზე მოდის „პორტლენდის“ თორმეტიცვე (!) საოვერტაიმო ქულა.

„კარგი იქნება, თუ ეს შეხვედრა გარდამტეხი იქნება და სტუმრად თამაშის პრობლემას მოვაგვარებთ“ — ამბობს „ბლეიზერსის“ მწვრთნელი მორის ჩიკსი.

მანამდე კი 80-იანი წლების ვარსკვლავს თავის გუნდში შიდადისციპლინური პრობლემები აქვს მოსაგვარებელი. ერთი დამპალი ვაშლი ყველას აფუჭებსო და შლეგმა და ნერვიულმა რაშიდ ვოლესმა საერთოდ შეცვალა გუნდის კლიმატი. მწვრთნელთა ზურგსუკან სმასა და მარიხუანის ჭაჭას რომ თავი დავანებოთ, მოთამაშეები უკვე ღიად ეჯავშნებიან ხელმძღვანელებს და ულტიმატუმებით ლაპარაკობენ. ჯეფ მაკინისმა ჩიკსს ერთი ამბავი აუტეხა, როცა მწვრთნელმა ანდერსონი ხუთეულში დაბრუნა და მაკინისი სკამზე გადასვა. დისციპლინა ფულადი ჯარიმების შემოღებითაც ვერ აღდგა. ყველაფერი რაშიდ ვოლესის სხვა გუნდში გაცვლისკენ მიდის, „პორტლენდის“ გამგეთ აღარ გაუჭირდებათ 211-სანტიმეტრიან თავდასხმელთან განშორება, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა და მუშა ზაკ რენდოლფმა მას ლიდერობა ჩამოართვა.

გასვლაზე იოლი გამარჯვება ჩაიწერა ნიკა ცქიტიშვილის „დენვერმა“. ცქიტიშვილმა „იუტას“ ექვს წუთში ექვსი ქულა ჩაუგდო, მწვრთნელ ჯეფ ბზდელიკისთვის ნიშნის მოგება თუ უნდოდა — შემომხედე, მეც შემიძლია, თამაშიო.

საინტერესო თამაშს უმასპინძლა ინდიანაპოლისმა. „ინდიანას“ მწვრთნელ რიკ კარლაილს ერთი სული ჰქონდა, ყოფილი გუნდის, „დეტროიტის“ შეფებისთვის ეჩვენებინა, მწარედ შეცდით, მოხუცი ლარი ბრაუნი რომ მამჯობინეთო და კარგადაც მოახერხა ამის დამტკიცება. მისმა ახალმა გუნდმა ძველს სოლიდურად მოუგო. ესეც არ იყო საჭირო, ისედაც ჩანს, რომ კარლაილი გადასარევი მწვრთნელია, საშუალო „ინდიანა“ მის ხელში წელში გაიმართა და 44 თამაშიდან 33 მოგებით აღმოსავლეთს დამაჯერებლად ლიდერობს. ისე, მაინცდამაინც ნურც ლარი ბრაუნს და მის „დეტროიტს“ ავემრიზებით, — „პისტონზი“ „ინდიანას“ ზურგსუკან მყარი მეორეა.



ანჩხლმა რაშიდ ვოლესმა, გასაცვლელი კაცი არა ვარო, და „საკრამენტოს“ 26 ქულა ჩაუგდო

კოტე ყორღია

ავსტრალიის ღია პირველობა 2004

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $

მეორე წრე

კაცები

ენდი როდიკი (1, აშშ) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:2, 6:2, 6:3; ანდრე აგასი (4, აშშ) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 6:0, 6:2, 6:4; სებასტიან გროუანი (9, საფრანგეთი) — უან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:4, 6:3, 6:2; პარადორ შრიჩაფანი (13, ტაილანდი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:3 გოლმარმა შეწყვიტა; სხენგ შალკენი (16, ჰოლანდია) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:3, 6:2, 5:7, 6:1; გუსტავო კუერტენი (19, ბრაზილია) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 7:5, 6:7 (5:7), 6:4, 6:3; ტაილორ დენტი (27, აშშ) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 3:6, 6:4, 7:6 (7:4), 7:5; როგი ჯენეპრი (32, აშშ) — ქრის გუჩონე (ავსტრალია) 6:4, 6:3, 6:3; მარატ საფინი (რუსეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 7:6 (7:5), 6:4, 4:6, 6:4; ტოდ მარტინი (აშშ) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 7:6 (7:4), 7:6 (7:4), 7:6 (9:7); ტომას ენქვისტი (შვედეთი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 7:5, 4:6, 6:3, 6:4; ოლივიე პასიანსი (საფრანგეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 7:6 (7:2), 6:7 (7:9), 6:3, 6:2; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:1, 7:5, 6:0; ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:3, 7:6 (7:4), 2:6, 6:1; ნიკოლა ესკუდი (საფრანგეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:3, 7:6 (7:4), 6:4

ქალები

ჟუსტინ ენინ-არდენი (1, ბელგია) — კამილ პენი (საფრანგეთი) 6:1, 6:4; ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:0, 6:2; ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:0; ვერა ზვონარიოვა (11, რუსეთი) — მელინდა ჩინკი (უნგრეთი) 7:5, 6:4; ალიშა მოლიკი (ავსტრალია) — დანიელა ჰანტუხოვა (15, სლოვაკეთი) 6:4, 6:3; ელენი დანილიდუ (19, საბერძნეთი) — კარა ბლეკი (ზიმბაბე) 3:6, 6:0, 6:1; კლოდინ შაული (ლუქსემბურგი) — ელენა ბოვინა (21 რუსეთი) 6:4, 6:3; პეტრა მანდულა (უნგრეთი) — მაგდალენა მალეევა (24, ბულგარეთი) 6:7 (6:8), 6:2, 6:3; სვეტლანა კუზნეცოვა (30, რუსეთი) — ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) 7:6 (7:0), 6:4; შაბიოლა სულუაგა (32, კოლუმბია) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 6:3, 6:4; ანიკო კაპოში (უნგრეთი) — სამანტა სტოზერი (ავსტრალია) 6:3, 6:1; ნიკოლ პრატი (ავსტრალია) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 1:6, 6:3, 6:3



REUTERS მელბურნიდან

რა გასაკვირია და, დანიელა ჰანტუხოვამ მეორე წრეში წააგო

რატომ ბიჭობაშიც ვერ ვიკაიბიჭე...

ბებრების სინდრომი ანდრე აგასისაც შეეყარა

დღემ განსაკუთრებული მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა და მილეთს არც ის ამბავი გაჰკვირვებია, ადგილობრივმა ალიშა მოლიკმა მეთხუთმეტე ნომრად განთესილი დანიელა ჰანტუხოვა რომ გააბუნძულა. წანწკლა დანიელამ ხომ უკვე კარგი ხანია, მის ნაადრევ სლემგავარდნებს შეგვაჩვია და ამიტომ რაიმე გამორჩეული არც ამ თვალსაზრისით მომხდარა.

რაღა ბევრი შევაშესავლოთ, დღევანდელი მიმოხილვა კვლავაც ფავორიტთა დამაჯერებელ ბურთაობას უნდა მიეძღვნას. ეგ მით უფრო, რომ გადასაჭარბებელი აქ არც არაფერია — ამქრის პირველოსნებმაც და მათმა მიმყოლებმაც გუშინ დასტურ რიგიანად იჩოგნავეს და კიდევ ერთხელ ნათელჰყვეს, რომ როცა უკვე ერთმანეთთან ხათქა-ხუთქი მოუწევთ, დია შუშპარა სანახაობებს უნდა ველოდეთ.

მაშ ასე — თავიდან პირველოსნებზე.

ენდი როდიკი ახლა მართლაც ჩინებულ ფორმაშია და რაკილა მეტოქეებიც მაინცდამაინც ვერ აწუხებენ, ხალისიანად და ძღომაზე აგლაჯუნებს. მისი მოწოდება გუშინაც სანაქებოდ მუშაობდა და ძირითადად სწორედ ამან განაპირობა, ოცეისნაწვნევმა ჩეხმა ენდიბოისთან პაექრობას მხოლოდ 73 წუთი რომ გაუძლო.

თუმცა თავად როდიკი ფიქრობს, რომ ტურნირზე გადამწყვეტი მენტალური სიმყარე იქნება.

„მაშინაც კი, როცა ვიცი, რომ კარგად არ ვთამაშობ, ვგრძნობ, რომ თვითრწმენის რაღაც მარაგი მაინც მაქვს — თქვა მან — ადრე კი საკმარისი იყო, გამეცნობიერებინა, რომ თამაში ჩემი კარნახით არ მიდიოდა, უმალვე პანიკაში ვვარდებოდი.“

მომავალ შეხვედრას როდიკი არანაკლებ მძლავრად მობრახუნე თვისტომ ტაილორ დენტთან გამართავს.

„მას ყველაფერი აქვს საიმისოდ, რათა ამქარში მოწინავე პოზიციები დაიკავოს. მაგრამ იმედი მაქვს, ამის გაკეთებას ცოტა მოგვიანებით ეცდება.“

ანუ — ჯერ მე მაცალოსო.

ჟუსტინ ენენს კი გუშინ ამგვარად არ ელადავებინებოდა, რადგანაც — თუმც მესამე წრეს მანაც გაუოფლიანებლად უწია — ზოგიერთი სხვა მეჩოგნის დარად მასაც კუჭის მავანი სალმობა შეჰყრია და ხასიათი წაუმურდლავს.

„ორი-სამი დღეა, რაღაც კარგად ვერა ვარ, თითქოს ყველაფერი გამომწუწნესო — ამბობდა ის კამილ პენის ძლევის შემდეგ — ამიტომაც კონცენტრაციაც მომიბოშდა. მაგრამ ექიმები მარწმუნებენ, რომ უკვე ხვალ ყველაფერი რიგზე იქნება და ჩვეულ მოუწყვლელ განწყობას დავიბრუნებ.“

ცნობისთვის — ანალოგიური სალმობის გამოვე იყო, ჰოლანდიელმა ფერკერკმა ლეიტონ ჰიუიტის წინააღმდეგ წინა პარასკევს სიდნეობის ნახევარფინალი რომ ვერ გაასრულა, ხოლო გრეგ რუზეცკი გუშინწინ სრულიად უბრძოლველად შემოემარცხა ესპანელ ალ კოსტას.

სხვაფრივ:

უსტაბაშთა დარად ჯერ-ჯერობით უხინჯოდ კაზმულჩოგნაობენ აქეთ-იქით მეოთხე-მეოთხე ნომრებად განთესილი ანდრე აგასი და ამელი მორესმოც.

33 წლის არმენოამერიკელმა გუშინ 83-წუთიანი გაკვეთილი ჩაუტარა 18 წლის მარჯვედ მომწოდებელ ჩეხ ტომაშ ბერდიხს. ნამატჩევს კი გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ მელბურნში მხოლოდ 1995 წლიდან ჩადის.

„ჰო, კარგი იქნებოდა, აქ კარიერის პირველსავე წლებში ჩამოვსულიყავი — თქვა მან — ამ ტურნირზე თავს საუცხოოდ ვგრძნობ და როცა ვიგონებ, თუ რატომ არ ჩამოვდიოდი აქ ადრე, გული მწყდება. მაგრამ რას იზამ, ჭაბუკი ვიყავი და დროის ტარება მინდოდა.“

შეგახსენებთ, რომ აგასიმ ავსტრალიის ღია პირველობა პირველსავე ჯერზე მოიგო, მერე კი იგივე სამჯერაც გაიმეორა და წლეულს უკვე მეხუთე იქაურ სლემტიტულს დაეძებს.

ამელი მორესმო ამგვარი მონაგრით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ მელბურნ პარკზე ჩოგანი მასაც გაუქნევია და ერთხელ, 1999 წელს ფინალსაც უწია.

ის ახლა ჯგირო ფორმაშია, სერენა უილიამსისა და ჯენიფერ კაპრიატის არყოფნაში უკეთესისა ეიმედება და რეიტინგსიის 64-ეადგილოსან სლოვაკ ჩერვანოვასაც გუშინ სულ რაღაც 44 წუთში გადაურბინა.

პირადი ნავსები გაიტეხეს და კარიერაში პირველად ავსტრალიის ღია პირველობის მესამე წრეში გავიდნენ ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი და ტაილანდელი პარადორნ შრიჩაფანი.

კუერტენი, ვისაც სამჯერ მოუგია როლან გაროსი, ხოლო უიმბლდონსა და აშშ-ის ღია პირველობაზე მეოთხედფინალებამდე მაინც უომია, ავსტრალიის ღია პირველობაზე უკვე მერვედ თამაშობს და წინა შვიდი ცდიდან პირველ წრესაც კი მხოლოდ ხუთჯერ გასცდა, მესამემდე ერთხელაც ვერ მივიდა.

ცხადია, 27 წლის მსოფლიოს ყოფილი პირველოსნისგან მილეთი არავითარ სენსაციას არ მოელის, მაგრამ ის არც ისეთი ოდენ-მეთიხნარეა, მელბურნულ მაგარსაფარზე იმთავითვე განწირულად რომ მიიჩნეს. ეს მან შარშანაც დაამტკიცა, როცა სეზონის ორივე ტიტული ჰარდზე, ოკლენდსა და სანკტ პეტერბურგში მოირეწა.

ერთი სიტყვით, გუგა გუშინ ძალზედ ბედნიერი იყო და კარიერის მორიგ მიღწევაზე საუბარსაც არ ერიდებოდა. ვინძლო, ცამდე მართალიც გახლდათ.

პარადორნს კი ავსტრალიის ღია პირველობაზე აქამდე ოთხჯერ ებუნავა და უკანასკნელ 32-ეულში ასევე ვერ მოხვედრილიყო.



AP ფოტო-ბანკიდან

ხანშეპარული ანდრე აგასი კმაყოფილებისგან წუწუნებს

ფრანგ გოლმარს ის გუშინ ალბათ ისედაც მოერეოდა, მაგრამ გოლმარმა მუხლქვეშა მყესი გაიწყვიტა და ტაიბიჭს საქმე გაუადვილა.

და ჭეშმარიტად ბედის ირონიაა, რომ მესამე წრეში კუერტენი და შრიჩაფანი... სწორედ ერთმანეთს უნდა ერკინონ! მათი შეხვედრა არა უბრალოდ მეოთხე წრეში მოსახვედრად ბრძოლა იქნება, არამედ ბრძოლა კარიერის პირველ მელბურნულ მერვეფინალში სათამაშოდ.

სხვა რაღა?

ოდნავ გაუჭირდა, მაგრამ ჩია ფრანგ ემილი ლუას წინააღმდეგობა მაინც გადალახა ქალთა ბადეში ავსტრალიის ღია პირველობის ერთადერთმა ჩემპიონმა ლინდსი დევენპორტმა.

მარატ საფინმა კვლავაც აიწონა-დაიწონად ითამაშა — მომენტებში ბრწყინვალე იყო, ხანგრძლივი გათამაშებებისას კი ბითურად მიჰქარავდა და ჯამში 47 უნებლიე შეცდომა დაიგროვა. ერთხელ მსაჯის გაფრთხილებაც მიიღო, როცა სეტის წაგებით გახელებულმა ჩოგანი დალეწა. თუმცა ფინელ ნიემინენს ის მაინც ეყო და ნამატჩევს ძალიანაც კმაყოფილობდა.

მომდევნო მატჩს საფინი ამერიკელ ტოდ მარტინთან გამართავს, ვინაც გუშინ სამტაიბრეიკიან დედა-შვილს-არ-აიყვანს-ხელში აჯობა 2,08-მეტრიან ხორვატ იგორ კარლოვიჩს. ეგ ის კარლოვიჩია, შარშანდელი უიმბლდონის პირველ წრეში ლეიტონ ჰიუიტი რომ ჩაჩოგნა.

თავადაც კაი მაღალი და 1,98-მეტრიანი მარტინი ხორვატის მოწოდებით იმდენად მოიხიბლა, რომ მას მსოფლიოში საუკეთესოც კი უწოდა. შეიძლება ყველაზე სწრაფი მოწოდება ვერა აქვს, მაგრამ საუკეთესო კი ნაღდადო.

გამაადგა, რო?!

ლევანი კილაურაძე

REUTERS მელბურნიდან

ჯეიმს ბლეიკმა ამ ნაბტომის შემდეგ ფეხი იტკინა, თუმც ნიკოლას ლაპენტის მაინც მოუგო

მსოფლიოს თასის შემდეგ ბორჯღალოსანთა რიგებში თაობათა ცვლა იწყება. ეს პროცესი ადრე თუ გვიან ნებისმიერი გუნდისთვის გარდაუვალია, თუმცა გვარიან სიფრთხილესაც მოითხოვს. გამოცდილი ლეგიონის ერთბაშად თამაშგარეთ დარჩენა, მით უმეტეს მაშინ, როცა ერთა თასის დაწყებამდე თვეც აღარ რჩება, გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული.

ვიქტორ დიდებულიძე, ვანო ნადირაძე, გია ლაბაძე – იმ თაობის ბიჭები არიან, საქართველოში რაგბის სიყვარული რომ გააღრმავეს. ამ დღეებში მათ თითქმის საბოლოოდ გადაწყვიტეს, სანაკრებო კარიერა დაასრულონ.

ვეტერანი მორაგბეების 2007 წლის მსოფლიოს თასზე წასვლა –თავისთავად, თუ მოხვდნენ იქ ბორჯღალოსნები – ასაკის გამო ისედაც გამორიცხული იყო, თუმცა ასე მძიმე დროს გუნდის დატოვება მაინც უმძიმთ

შერკინება დაიშალა?

ვიქტორ დიდებულიძემ, ვანო ნადირაძემ და გია ლაბაძემ ნაკრებს ხელი დაუქნიეს

ვიქტორ დიდებულიძე და ვანო ნადირაძე ერთად იდგნენ და ერთად მიდიან

ბაჩანა კობილაშვილის ფოტო

ვიქტორ დიდებულიძე

— ჯერ ოფიციალურად არაფერი გვითქვამს, მაგრამ შეგიძლიათ დაწეროთ, ჩვენი გადაწყვეტილება თითქმის საბოლოოა. ბიჭებიდან ვანო ნადირაძეს ველაპარაკე და ისიც ამას ფიქრობს. თან მომავალი თამაშისთვის მოსამზადებელ განაცხადშიც აღარ მოიძებნა ჩვენოვის ადგილი და...

— ესე იგი ნაკრებიდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი გამოუძახებლობაცაა?

— ასეც ვერ ვიტყვი. ჩვენ გუნდის ვეტერანები ვიყავით და ეს ნაბიჯი მაინც უნდა გადაგვედგა, მაგრამ ასე უცებ ხაზის გადასმაც არ უნდა იყოს გამართლებული.

— თან ყველანი მეორეხაზელები ხართ...

— მეორე ხაზი ჩვენს ნაკრებში გამორჩეული არასოდეს ყოფილა. ჯერ არ ვიცი ახალი განაცხადი. მგონი, მასში ზურაბ მჭედლიშვილიც ვერ მოხვდა. ახალი მწვრთნელები აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებენ და ეს კარგია, რადგან 2007 წლის მსოფლიოზე მათ მოუწევთ თამაში, მაგრამ ჯერ იქამდე მისვლაა საჭირო. ალბათ უკეთესი იქნება, გაახალგაზრდავების პროცესი ნელ-ნელა მოხდეს. ჩემს თავს არ ვგულისხმობ, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ბებერი ხარის რქებიც ხნავენო. გამოცდილი მოთამაშეების გვერდით დგომა და კონკრეტულ ეპიზოდებში მათი მითითებების მოსმენა მომავალი თაობისთვის ყველაზე კარგი გაკვეთილი იქნებოდა.

— გადახალისებული შემადგენლობით მოთამაშე ნაკრები სერიოზული შედეგისთვის ბრძოლას შეძლებს?

— ამის თქმა ახლა ცოტა ძნელია, დასკვნა პორტუგალიასთან თამაშის შემდეგ გამოვიტანოთ. სხვათა შორის, მათი ერთ-ერთი უძლიერესი რგოლი სწორედ მეორე ხაზია. შარშან თამაში შერკინებაში აკიდებული ჯარიმებით წავაგეთ, ამიტომ წლევანდელ თამაშს მოუთმენლად ველი. იმედია, ახალი მწვრთნელები გამარჯვებით დაიწყებენ.

— ბარემ მათზეც გვითხარით. უცხოელის შემდეგ ნაკრების სათავეში ქართველების, თან ერთბაშად სამი კაცის მისვლა გამართლებულია?

— სამივე მწვრთნელს კარგად ვიცნობ და მოხარული ვარ, რომ ინიციატივა ამ ბიჭებმა აიღეს. სორელი კარგი მწვრთნელი იყო, მაგრამ ნაკრების საქართველოს ჩემპიონატიდან ნიჭიერი მორაგბეებით შევსებას თითო-ოროლა თამაშის ყურების შემდეგ თუ ახდენდა, ეს კი საკმარისი არ იყო. ყველა მატჩის უმაღლეს დონეზე ჩატარება შეუძლებელია. ამის გამო ბორჯღალოსნებში მოხვედრის შანსი ბევრმა დაკარგა. ქართველი სპეციალისტები ამ მხრივ უკეთ ინფორმირებულები იქნებიან. ძველი ნაკრების მთავარი მინუსი შეუკვრელობა იყო. თუ ამ პრობლემას ეშველა, ჩათვალეთ, რომ სერიოზული გუნდი გვეყოლება.

ვანო ნადირაძე

— ჩვენმა თაობამ, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა. უკვე ისეთ ასაკში ვართ, ნაკრებს ბევრს ვეღარაფერს შევმატებდით. თან დროა, საკუთარ თავზეც დავიწყოთ ფიქრი და როგორღაც ცხოვრება ავიწყოთ.

ის, რომ გუნდი ახალგაზრდავდება და მასში ჩემი ადგილი შეიძლება აღარც იყოს, მაინცდამაინც გულდასაწყვეტი არაა. მთავარია, რომ მოდიან ბიჭები, რომელთაც 2007 წლის მსოფლიოს თასზე უნდა ითამაშონ. ერთადერთი, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდებით, ჩვენი გაცილების მატჩი იქნება. ამაზე რაგბის კავშირის უფროსობასთანაც გვქონდა საუბარი და გამორიცხული არაა, ერთა თასის რომელიმე თბილისურ შეხვედრაზე ნაკრების ფორმა ერთხელაც მოვირგოთ.

გია ლაბაძე

— ნაკრებს ვემშვიდობები, თუმცა გამორიცხული არაა ერთ-ორ წელიწადში ისევ დავბრუნდე. ამ პერიოდში მინდა, პირადი პრობლემები მოვაგვარო. კლუბშიც უკეთ ავეწყობი და თუ შემდეგ ნაკრებს კიდევ გამოვადექი, სიამოვნებით დავბრუნდები.

— მომავალ ერთა თასზე „ბორჯღალოსნებში“ ბევრი ძველი სახე აღარ იქნება. ნაკრებზე ეს უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?

— ჩემს პოზიციაზე ნამდვილად არიან ბიჭები, რომლებსაც კარგი თამაშის ჩვენება შეუძლიათ. თუნდაც გუნდიშვილი და ჩხაიძე გავიხსენოთ.

— ხუთიოდ დღეში რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებია. მოქმედ პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. შენი აზრით, ქართული რაგბის მომავლისთვის რომლის გამარჯვება იქნება უკეთესი?

— ბოლომდე ინფორმირებული არა ვარ, თუმცა ამაზე ლაპარაკისგან მაინც თავს შევიკავებდი. ჩემი საქმე რაგბის თამაშია. ყოველთვის ვცდილობდი, შესაძლებლობები მაქსიმალურად გამომევლინა და თუ შანსი მომეცა, დაბრუნების შემდეგაც იგივე შემართებით ვიბრძოლებ. არჩევნებში კი იმან უნდა გაიმარჯვოს, ვინც ქართულ რაგბს უკეთესი გზით წაიყვანს.

ოთარ მაღლაკელიძე

გია ლაბაძე იქნებ ოდესმე დაუბრუნდეს ნაკრებს

ბაჩანა კობილაშვილის ფოტო

ინდოელს ჰოლანდიელმა გაუსწორა

ჭადრაკის ქომაგთა ყურადღება ჰოლანდიისკენაა მიპყრობილი. ოთხიოდე ტურიც და ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირის გამარჯვებულიც გამოვლინდება. დრო, მართალია, სხვებსაც აქვთ, მაგრამ უკვე ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ პრესტიჟული A ჯგუფის გამარჯვებული ზედიზედ მეორედ ინდოელი ვიშვანათან ანანდი გახდება. ინდუსს 6,5 ქულა აქვს, ერთით უსწრებს უახლოეს მდევრებს და თუ მის დარჩენილ ოთხ მეტოქესაც გადავხედავთ, ალბათ პირველობის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს. ეს პირველ რიგში ტოტალიზატორებმა იყნოსეს და ანანდის მოგებაზე კოეფიციენტი 1,2-მდე შეამცირეს. მის უშუალო კონკურენტებს კი — უნგრელ პიტერ ლეკოს და ინგლისელ მაიკლ ადამსს — შესაბამისად 12 და 15 კოეფიციენტი არგუნეს.

მეცხრე ტურში ინდოელი ვეფხვი აწ უკვე ყოფილ კონკურენტს, რუს ვლადიმერ კრამნიკს შეხვდა და შავი ფიგურებით თამაშის მიუხედავად თავიდანვე ძალუმად შეუტია. საკუთარ ტერიტორიაზე ჩაკეტვას არც რუსი აპირებდა და პარტია ორმხრივ იერიშებში წარიმართა. ერთ მომენტში მსოფლიოს ერთ-ერთი ვერსიით ჩემპიონმა ჭკუით აჯობა ინდოელს, შავების მეფეს დიდი ძალებით მიუხტა და პარტიაც თითქოს თავის სასარგებლოდ უნდა დაესრულებინა, მაგრამ უფრო რაციონალურმა ანანდმა ბოლომდე იბრძოლა და 25-ე სვლაზე ძვირფას ყაიმს გამოჰკრა ხელი. ამასთან ერთად ანანდი მასპინძელ ლუკ ვან ველის მოგებამაც გაახარა, რადგან ჰოლანდიელმა ინდუსის მთავარ მადევარ ადამსს ააფრიალებინა თეთრი ბაირაღი.

შეხვედრა თეთრებით მოთამაშე ვან ველის უპირატესობით წარიმართა და ლამის 100 სვლა გათამაშდა. 96-ე სვლაზე კი ჰოლანდიელმა პაიკი ლაზიერად აქცია და ალბიონელიც იძულებული გახდა, დანებებოდა.

როგორც ჩანს, სუპერტურნირის მოგების იმედი გადაეწურა ლეკოს. იგი მე-14 სვლაზე დაუზავდა რუს პიტერ სვიდლერს და ადამსთან ერთად 5,5 ქულით მეორე ადგილზე „შებრკოლდა“.

C ჯგუფში მეხუთე ტურია, ვერ იგებს მერაბ გაგუნაშვილი. ახალგაზრდა ქართველი სერბ მილოშ პავლოვიჩს დაუზავდა და ორი ქულით დაშორებულ პირველადგილოსანს გოჯით ვერ მიუახლოვდა.

ლაშა გეგეჭკორი



ლუკ ვან ველის გამარჯვებამ ვიშვანათან ანანდს გაუკეთა საქმე

ისინი ჩამოვიდნენ მთიდინ

ავღანელებიც გაიხარებენ

ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ნახევარი წელი რჩება, თუმცა ბერძნებს ფინანსური მოგების გარანტია აქედანვე აქვთ. საათენოდ უკეთ მოსამზადებლად ამა თუ იმ ქვეყნის დელეგაციები მასშტაბიან შეკრებებს გეგმავენ და რა გასაკვირია, ადგილის შერჩევისას უპირატესობა იმავე საბერძნეთს მიანიჭონ.

მომცრო ქალაქებში, როგორებიცაა მაგალითად პატრი და ათენის ავანპორტი პირეოსი, სასტუმროებში თითქმის ყველა ნომერი დაჯავშნულია. ცხადია, ფასები ჩვეულებრივზე მაღალია და გადამხდელებიც არაა ცოტა. ფინანსურად ძლიერი ქვეყნები იტალია, გერმანია, ბრიტანეთი, იაპონია და სხვები აქედანვე ჯავშნიან და ეძებენ მყუდრო სავარჯიშო ადგილებს მთელს ელადაში და წარმოიდგინეთ, შედარებით კეთილმოწყობილი სკოლების სავარჯიშო დარბაზებსაც შეესივნენ.

ნაკლებად მდიდარ ქვეყნებს მოსამზადებლად საბერძნეთის მეზობელი კვიპროსი და ბულგარეთი რჩებათ. ზოგისთვის კი ესეც მიუწვდომელია. რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, ასეთთა რიცხვს სულაც არ მიეკუთვნება ავღანეთი. 8-წლიან ვაკუუმში ყოფნის შემდეგ ოლიმპიურ ციებცხელაბში ეს გალატაკებული ქვეყანაც გადაეშვა და წარმოიდგინეთ, 12 კაციან დელეგაციას შეკრება ეგეოსის ზღვაში, კუნძულ-კურორტ ლესბოსზე დაუგეგმა. საამისო სახსრები ავღანელებს, რა თქმა უნდა, თავად არა აქვთ, სამაგიეროდ მდიდარი დასავლელების იმედი აქვთ, რომელთაც რამდენიმე ათეული ათასი დოლარი როგორ დაენანებათ უპოვარი და ომებით გათანგული აზიელებისთვის.

ბოლოს შევახსენებთ, რომ ოლიმპიური თამაშები ათენში 13-29 აგვისტოში გაიმართება. ამ დროს საბერძნეთში აუტანელი ივლისური სიცხეები ოდნავ გადავლილია და მოსამზადებელი ადგილების აქედანვე დაჯავშნაც აკლიმატიზაციის აუცილებლობითაა განპირობებული.

კატები: ნუ ავიფხორებით
იაგუარი ირჩევს სტაბილურობას

იაგუარი

„იაგუარ რეისინგის“ სახელით ასპარეზობს 2000 წლიდან
(1997-1999 წლებში — „სტიუარტი“)
67 რბოლა; 38 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი — VII ადგილი (2002, 2003)
საფორმულო პროგრამის ხელმძღვანელი, „ფორდის“ ვიცე-პრეზიდენტი **რიჩარდ პერი-ჯონსი**
მმართველი დირექტორი **დევიდ პიჩფორტი**
აღმასრულებელი დირექტორი **ტონი პარნელი**
ბოლიდი **„იაგუარ R5“**
ძრავა **„ფორდ კოსუორტ CR-6“** (V10)
საბურავები **„მიშლენ პილოტი“**



მარკ ვებერი

კრისტიან კლიენი

ავსტრალია
დაიბადა 1976 წლის 27 აგვისტოს ქუინბიში
ცხოვრობს მარსლიში (ინგლისი)
უცოლო
სიმაღლე 185 სმ; წონა 74 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2002)
32 რბოლა; 19 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მეათე ადგილი (2003)
ასპარეზობდა „მინარდიში“ (2002)
„იაგუარშია“ 2003 წლიდან

ავსტრია
20 წლის
ფორმულა 1-ის დებიუტანტი
2003 წელს ფორმულა-3 ევროსერიის ვიცე-ჩემპიონი

JAGUAR

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

მწვანეების გუნდი ყველაზე კონსერვატულია „ფორმულაში“ — ორი წელიწადია, მანქანის კონსტრუქცია პრაქტიკულად არ შეცვლილა. მაგრამ ამ არცთუ მთლად სასიამოვნო ამბავს საჯინიბოს ხელმძღვანელობამ კი არ წაუყრუა, პირიქით, ბარსელონაში „კატალუნია მონტმელოს“ ავტოდრომზე პრეზენტაციისას კატების ბოსმა დევიდ პიჩფორტმა ომახიანად განაცხადა: „ჩვენს წინ ორი ამოცანა იდგა, გაგვეუმჯობესებინა მანქანის საიმედოობა და უკეთ გაგვეცნობიერებინა მისი პრობლემები. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი მოვაგვარეთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თუ წლევანდელ ბოლიდს, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, მაინც გადმოჰ ყვება წინამორბედის პრობლემები, ეს კატასტროფას არ ნიშნავს. ჯობს, გამოიყენო მანქანა, რომლის „ფოკუსებიც“ იცი და შეგიძლია შეაკეთო, ვიდრე სრულიად ახალი, რომლის შესახებაც გაგებაში არ ხარ.“

ამით პიჩფორტს იმის თქმა უნდა, რომ მისი ბოლიდები წლეულს საიმედოდ შეეტოკებიან „ტოიოტას“, „ზაუბერსა“ და ბარ-ს კონსტრუქტორთა თასზე, ანუ გუნდურ პირველობაზე ხუთეულში მოსახვედრად. მისდა სამწუხაროდ, უფრო მაღლა ასახტომად „კატებს“ სადღეისოდ ძალა არ შესწევთ, თუმც ათ საჯინიბოს შორის მეხუთე ადგილზე გასვლაც მათთვის გადასარევი მიღწევა იქნება, რაც, ექსპერტების აზრით, 2004 წელს შეუსრულებელია მისიაა.

ახლა პილოტებზე. 27 წლის მწვანე კონტინენტელმა მარკ ვებერმა გუნდში ადგილი შეინარჩუნა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან „იაგუარის“ შარშანდელი 18 ქულიდან ლამის ყველა (17) სწორედ მარკმა მოინაგრა. სეზონის დასაწყისში მისი ბრაზილიელი მეწყვილე ანტონიო პიცონია, ნულქულიანი უხეირო ჯირითის გამო ბოსებმა ბოლო ხუთ ეტაპზე ინგლისელი ჯასტინ უილსონით შეცვალეს, რომელმაც აშშ-ს დიდი პრიზის გათამაშებისას ერთი ქულა კი მოიპოვა, მაგრამ მაინც ვერ გადაურჩა მოხსნას. ასე რომ, კარს მომდგარ სეზონში ვებერს კომპანიონობას გაუწევს 20 წლის ავსტრიელი კრისტიან კლიენი, აშკარად ნიჭიერი მძღოლი, რომელიც შარშან ფორმულის უდაბლეს კლასში კი ჯირითობდა, მაგრამ ისე მოაწონა თავი „იაგუარის“ უფროსობას, რომ უყოყმანოდ ამჯობინეს სხვა პრეტენდენტებს.

ბოლოს არც ისე სასიამოვნოზე: ახალმა „იაგუარმა“ უკვე ჩატარებულ ტესტებზე ბარსელონაში თავი შეირცხვინა — კლიენს 14 პილოტს შორის მხოლოდ ბოლოსწინა შედეგი ჰქონდა, ვებერმა კი, რომელსაც სიჩქარეთა კოლოფი გაუფუჭდა, შეკეთების შემდეგ ისე იზოზინა, დღის უარესი დრო აჩვენა.

თუმცა ეს მხოლოდ ვარჯიშია და გადამწყვეტი დასკვნების გამოტანაც, რა თქმა უნდა, ნაადრევია.

გია ახალაძე



NHL **რეგულარული ჩემპიონატი**

REUTERS ლოს ანჯელესიდან

კალგარელი ენდრიუ ფერენსი და ლოსანჯელესელი ტრენტ კლეტი ყვანჯებით შებმულან

რჩევა რეინჯერსს
დათვს ხელს ნუ ახლებ!

20 იანვარი

კაროლინა 1:3 ოტავა
0:2 1:0 0:1
0:1 ჰოსა (13), 0:2 ალფრედსონი (15), 1:2 ონილი (32), 1:3 ვან ალენი (60)

ფილადელფია 1:4 მონრეალი
0:1 0:1 1:2
0:1 ზედნიკი (9), 0:2 ზედნიკი (27), 0:3 ბულისი (45), 1:3 განიე (59), 1:4 რაიდერი (59)

„ფილადელფიას“ სინდრომი დაძლეულია. ბოლო წლებში „მონრეალი“ ისე გრძნობდა მასთან შეხვედრებში თავს, როგორც წიწილა სპილოსთან, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი დამთავრდა. ახლა „მონრეალს“ ისეთი მოთამაშე ჰყავს, რომელსაც ამ არასასიამოვნო წარსულთან არავითარი კავშირი არა აქვს. კანადელთა დებიუტანტი მაიკლ რაიდერი თავის პირველივე სეზონში გუნდის ლიდერად იქცა. ახლა კი, მორიგი გოლისა და ორი პასის შემდეგ, ახალბედათა დავაში პირველობა უფრო განიმტკიცა. ისე, ნუ დავივიწყებთ, რომ „მფრინავებს“ სამი წამყვანი მცველი აკლდათ.

რეინჯერსი 1:4 ბოსტონი
0:0 0:2 1:2
0:1 კორაზინი (22), 0:2 შლეგრი (38), 1:2 ლიჩი (42), 1:3 როლსტონი (45), 1:4 კორაზინი (50)

ამ მეტოქეების წინა მატჩი ერთობ ემოციური გამოდგა — რამდენჯერმე გაიმართა მუშტი-კრივი და გუნდები დაზარალდნენ კიდეც. ნაჩხუბრებიდან თუ ბოსტონელი ჯო ტორნტონი მალე დაბრუნდება, „რეინჯერსის“ გალახული მცველი დარიუს კასპარაიტისი სეზონის ბოლომდე ვერ მოვა გონზე. თან წინა მატჩში ლიტველის გუნდი დამარცხდა. ასე რომ, მასპინძლებს შურისძიების საბაბი ნამდვილად ჰქონდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. პირველივე წუთებზე წამოწყებული მასპინძელ მეტაუ ბარნაბისა და ბოსტონელ ნიკ ბონატონის ჩხუბი, ისევე როგორც რამდენიმე სხვა (ერთ-ერთში ერიკ ლინდროსიც მონაწილეობდა), ფრედ დასრულდა, თავად თამაშში კი „ბოსტონის“ უპირატესობა აშკარა იყო. „დათვების“ დებიუტანტმა კარლ კორაზინიმ დუბლი შეასრულა, ხოლო „მედისონ სკვერ გარდენის“ უკმაყოფილო მაყურებლებმა მატჩის მიწურულს „რეინჯერსის“ თავკაცი სატერი გემოზე ლანძღეს.

ატლანტა 4:1 ბუფალო
0:0 2:1 2:0
0:1 დიუმონი (23), 1:1 კოზლოვი (34), 2:1 შტეფანი (38), 3:1 ვიჟიე (44), კოზლოვი (57)

პიტსბურგი 0:3 ნიუ ჯერსი
0:1 0:2 0:0
0:1 სტივენსონი (10), 0:2 ფრიზენი (23), 0:3 სტივენსონი (37)

„ნიუ ჯერსის“ მორიგი შათაუტის ავტორი ამჯერად მარტინ ბროდო არ გამხდარა, ეს იშვიათად მოასპარეზე დუბლიორმა სკოტ კლემენსენმა შეძლო. ამასობაში კი „ეშმაკთა“ ბანაკში კონფლიქტი მწიფდება. თავკაცმა პეტ ბიორნსმა 43 წლის იგორ ლარიონოვს ერთ-ერთ ვარჯიშზე შენიშვნა მისცა, მანაც მწვრთნელს კარები მიუჯახუნა.

ტორონტო 2:0 აილენდერსი
1:0 0:0 1:0
1:0 რენბერგი (10), 2:0 რობერტსი (58)

ედმონტონი 3:0 დალასი
0:0 0:0 3:0
1:0 ფერგიუსონი (42), 2:0 ტორესი (47), 3:0 ტორესი (60)

ლოს ანჯელესი 4:1 კალგარი
3:0 0:1 1:0
1:0 არმსტრონგი (5), 2:0 ლაპერიე (48), 3:0 კორვო (16), 3:1 მაკამონდი (21), 4:1 ლაპერიე (60)

Euroleague

ევროლიგა
პირველი ჯგუფური ეტაპი. X ტური. 21 იანვარი

A ჯგუფი
ბარსელონა 81:69 პო ორტეზი

B ჯგუფი
ჟრკა 62:89 ცსკა
უნიკახა 75:63 სიენა

C ჯგუფი
ალგა 80:93 პამესა
ოლიმპიაკოსი 81:72 ტაუ
ბენეტონი 66:79 ეფესი



REUTERS კლივლენდიდან

ლებრონი უცქერს

ლებრონ ჯეიმსს ტრავმა აქვს, თავზე ნიუიორკული ქუდი მოურგია, კევსა ბერავს და დიდით ვერაფრით ეხმარება თავის „კლივლენდ კავალიერზს“. ამის მიუხედავად, „კავზი“ „სიეტლს“ ამარცხებს, 99:94.

REUTERS ბარსელონიდან

ვარჯიშის კვამლი

ბარსელონაში, მონტმელოზე ემზადება ახალი სეზონისთვის „ჯორდანის“ საფორმულე გუნდი. იქვეა „ფერარის“ ხალხიც. კვამლი ვარჯიშის თანამდევია და გასაკვირი არ არის, რომ რიგით „ჯორდანსაც“ და დიად „ფერარისაც“ ცეცხლს უქრობენ. პილოტები, ტიმო გლოკი და რუბენს ბარიკელო მშვიდად არიან.



REUTERS ბარსელონიდან

ისევ მოსამართლის კარზე

მაიკ ტაისონი ბრუკლინის სასამართლოდან გამოდის. ძველი საქმე ისმინება: მაიკს ავტოგრაფი სთხოვს „ბრუკლინ ოტელში“ და ამას ჩხუბი მოჰყვა. ამ ფოტოში უფრო საინტერესო ის არის, რომ ცუდ ბიჭს მორიგი, მესამე საცოლო ლუზ ვიტნი ახლავს.

REUTERS ნიუ იორკიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ბორა

REUTERS ჰონგ კონგიდან

ბორა მილუტინოვიჩი კვლავ საქმეშია — ის ამჯერად ჰონდურასის ნაკრების მწვრთნელია და გუნდი ჰონ კონგს ჩაუყვანია, სადაც იქაურებს, შვედებს და ნორვეგიელებს უნდა ეთამაშოს კარლსბერგის თასისთვის. მწვრთნელს მხარს უმშვენებს ჰონდურასელი თავდამსხმელი საულ მარტინესი. ჯერ არავინ იცის, გააღწევს თუ არა პატარა ამერიკული ქვეყნის გუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე. ბორას ამაზე მეტიც მოუხერხებია.

REUTERS კიცბუელიდან

ჯარი ტიროლში

ტიროლში იმხელა თოვლი მოსულა, რომ მის საწმენდად ავსტრიელებს ჯარი გამოუყვანიათ. კიცბუელის სამთო კურორტზე გუშინ თხილამურები ვერავინ მოირგო. ნამქერი იმხელა იყო, გასვლას აზრი არ ჰქონდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge